საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

ოთხშაბათი, 17 ნოემბერი 1920 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 15 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 375 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 15 მანეთი განცხადების ფასი წინა გვერდზე მეტიტის სტრიქონი 20 მანეთი, მეოთხე გვერდზე 15 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (15 × 2) 500 მანეთი. ნისიად განცხადება არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4. შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან კანტორის ტელეფონი 16—62 რედაქციის 14—76

№ 262 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 262

საქართველოს სოც.-დემ მუშათა პარტიის
ცენტრალური კომიტეტი

მოთავსებულია ერთობის ქ. № 4. მესამე სართული
შესახვევი რუსთაველის ქუჩიდან № 18, ტელ. 11—79

თავზარდაცემული მამა მასიკო, ბიცოლა ესმა შვილებით: ნინო, ალექსანდრე და გოგიტი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარის მე III კლ. მოწაფის

სერგო ასამბაძის

უდროოდ დაკარგვას. პანაშვიდი ყოველდღე რკ. გზ. საავადმყოფოს ეკლესიაში. დაკრძალვა 18 ნოემბერს ხუთშაბათს 3 საათზე

(3688—2—2)

ღრმათ დამწუხრებული ბობუცა და ვანო ყანდაშვილები აუწყებენ ნაცნობთა და ნათესავთა, რომ 17 ნოემბერს 1920 წელს სულის მოსახსენებლათ იქნება გადახდილი წირვა და პანაშვიდი პირველი დისა და მეორეს ცოლის დის

სონია კონსტანტინეს ასული ჩხაიძის

ხსოვნის აღსანიშნავად წირვა დაიწყება სრულ 10 ს. ახალი სტილით და შემდეგ პანაშვიდი წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ეკლესიაში.

(3698—1—1)

ივანე ნიკოლოზის ძე, ნინო მიხეილის ასული და მარიამ ივანეს ასული მაჭავარიანი, სოფიო ნიკოლოზის ასული, გიორგი და კონსტანტინე ვასილის ძენი მელვინეთ უხუცესი გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, დედის, დედამთილის და დიდედის

თინათინ ზაქარიას ასულის მაჭავარიანის

გარდაცვალებას. პანაშვიდი და დაკრძალვა ს. მერეთში 17 ნოემბერს.

(3697—1—1)

განუსაზღვრელი მწუხარებით გულ-მოკლულნი; მეუღლე კაპიტონ ლევანის ძე ვაშალომიძე, უდროვოთ დაობლებულნი შვილები: თამარუშა და იურიკა, მუდამ მტირალი მამა გლახუნ კილაძე, ძმა ილიკო, მეუღლით დარიკო და თომა ნიკოლაიშვილები, მაზლები მიხეილ და ლუკა, რძლები მაშო და პელაგი აცნობებენ ნათესავებს მეგობრებს და ამხანაგ ნაცნობებს, რომ ქ. ოზურგეთში გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და მუდამ მოსაგონარი ახალგაზრდა

ნინა-კილაძე ვაშალომიძისა

რომლის გამოტირილი მე 40 დღისა დანიშნულია ქ. ოზურგეთში მოიდანახეს ეკლესიის სასაფლაოზე 20 ამა გიორგობისთვეს დილის 10 საათზე. (კუპ. 957)

ღრმად დამწუხრებული, გულ დაწყვეტილი და სამუდამოთ გამწარებული მარიამ აბრამის ასული ხირსელისა, შვილები ალექსანდრე, ნიკოლოზ კოსტია ივანეს ძენი და ნინო ივანეს ასული ხირსელები, ამით ულრმეს მადლობასა სწირავენ ყველა იმ პირთ, ვინც პირადის დასწრებით, დეპეშებით ან წერილების საშუალებით გაუზიარეს მათ მწუხარება პატივი სცეს და ანუგეშეს იგინი ამ უბედურ და აუტანელ მათთვის დროს საყვარელ ძვირფას და დაუვიწყარ

ივანე აგატონის ძე ხირსელის

დაკარგვის გამო, პირველის მეუღლე და უკანასკნელთ მამას.

(3699—1—1)

ჩამოვიდა. აფხაზეთის სახალხო საბჭოს

დელეგაცია

და დაბინავდა ჩრდილოეთის ნომრებში ოთახი № 35. დელეგაციის თავმჯდომარე ღებულობს ყოველ კვირას გარდა 12 საათ. 2 საათამდე.

(3684—7—2)

საჯარო ვაჭრობა

8000 ვედრა ვარცხის მამულის ძველ ღვინოზედ დანიშნული არის 25 ნოემბერს 12 საათზედ მთავრობის შენობაში სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ცნობების მიღება შეიძლება ყოველ დღე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში.

(3687—2—2)

სოხუმის საცდელი სადგური

აცხადებს

კონკურსს

სადგურის გამგის თანამდებობის დასაჭერად. სადგური შესდგება: საბაღო-საკლიმატიზაციო, მეხილეობის, მებოსტნეობის სამკურნალო მცენარეთა განყოფილებათაგან და ქიმიურ ფარმაცევტიულ ქარხნისაგან; მიკოლოგიურ ენტომოლოგიურ კაბინეტებისაგან და ქიმიურ ლაბორატორიისაგან. საჭიროა უმაღლესი აგრონომიულ განათლებით, შესაფერის მეცნიერულ მომზადებით და ადმინისტრატიულ გამოცდილებით აღჭურვილი პირი. თვიური ჯამაგირი 8 000 მანეთი სახაზინო ბინითა და გათბობა განათებით. თხოვნები და cuuriculum vitae უნდა გადმოეგზავნოს შემდეგი მისამართით: სოხუმი, ბოტანიკური ბაღი, საცდელ სადგურის დროებით გამგეს. კონკურსი დამთავრდება 15 დეკემბერს.

(3690—3—1)

აფიცერთა ეკონომიური საზოგადოების

ზედამხედველი კომიტეტი ამით აცხადებს, რომ 20 ამა ნოემბერს დანიშნული საზოგადო რწმუნებულთა

ყრილობა

გადადებულია რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის ბრძანებით შემდეგ დროისთვის.

ზედამხედველი კომიტეტი.

(ნ. 2—1)

რესპუბლიკის ფრონტის დამხმარე მთავარი
კომიტეტის სხდომა

დანიშნულია ხუთშაბათს, 18 ნოემბერს, საღამოს სრულ 7 საათზე ქალაქის თვითმმართველობის სხდომის დარბაზში. კომიტეტის სრულ შემადგენლობას აუცილებლად უნდა დაესწროს. კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ორგანიზაციისა და დაწესებულებათა წარმომადგენლთ: რესპუბლიკის თავდაცვის საქმეში წვლილის შემოტანით ვინც დაინტერესებულია—ყველას შეუძლია კრებას დაესწროს. ამასთანავე რესპუბლიკის პროვინციის ყველა კომიტეტებმა უნდა მოახდინოს კრებები და სადაც არ არის უნდა შეადგინოს ახალი კომიტეტები. დირექტივებს მიიღებენ ცენტრიდან.

კომიტეტის პრეზიდიუმი.

(3702—1—1)

ვყიდი

ხელმისაწდომ ფასებში: ხე ტყის მასალას, კრამიტს დამზადებულ კარ-აკოშკებს, ჩარჩოებს, ლამფას, რეიკებს და სხვა შენობის საჭირო მასალას. საბურთალოზე იტალიურ რადიოს პირდაპირ. საშა ბასილოვი. (3605—2—2)

კიდევ ხელშეკრულებაზე

გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულია მოკლე შინაარსი რუსეთ-აზერბეიჯანთან სატრანზიტო ხელშეკრულების. ჩვენ უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ძირითადი პრინციპი, რომელზედაც აგებულია ეს ხელშეკრულება, და რომელიც ერთიანათ გატარებულია მის ყოველ მუხლში—ვხედავთ სრული თანასწორი ეკვივალენტის პრინციპს. „do ut des“,—რაც არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად არ ჩაითვალოს.

ტრანზიტის უფლება ორივე მხრივია, ესე იგი ჩვენ გვაქვს ეს უფლება რუსეთში და რუსეთს ჩვენში. შეიძლება არ ჩავვეთვალა ურთიერთის ეკვივალენტი თანასწორებათ, მაგრამ ფაქტიურად რომ ჩვენ რუსეთის გადმიდან რუსეთის დაუსრულებელ სივრცეზე გაბატონებით, განსაკუთრებით დღევანდელ სატრანზიტო გარემოებებში ვერ ვისარგებლებთ. და თუ ვისარგებლებთ, ეს იქნება შემთხვევითი და უიშვიათესი მოვლენა. რუსეთი კი საქართველოს სატრანზიტო გზით ძლიერ ფართოთ ისარგებლებს—უცხოეთიდან ზღვით მოტანილ მრავალგვარ საქონელს გაიტანს.

და აი ამ ფაქტს უწევს ანგარიშს ხელშეკრულება და სატრანზიტო ხელშეკრულების ნაცვლათ იძლევა ნავთს ბაქოდან განსაზღვრული რაოდენობისას, რომელსაც შეუძლია დააკმაყოფილოს საქართველოს მცხოვრებთა და წარმოებათა საჭიროებანი.

ნავთის ფასის ოდენი საქონლის გატანის უფლება საქართველოდან არ სცვლის ამ ხასიათს სანავთო მუხლისას, რადგან ნავთის ფასი განსაზღვრულია და არ შეიძლება ხელსაყრელ ფასათ არ ჩაითვალოს, სამაგიეროთ გასატანი საქონლის ფასი კი ბაზრის პირობებზე დამოკიდებული.

მაშასადამე, აქ ჩვენ გვაქვს სრული კომპენსაცია იმ სარგებლობის, რომელსაც იღებს ჩვენგან რუსეთ აზერბეიჯანი.

და სწორეთ დამახასიათებელი ამ ხელშეკრულებისა არის ის გარემოება, რომ მასში ადგილი არ აქვს ჩვენი ქვეყნის, როგორც უფრო პატარა რესპუბლიკის მდგომარეობით სარგებლობას და საკოლონიო პოლიტიკის გატარებას, რაც დიდ სახელმწიფოთა დამოკიდებულებაში მცირე ერებთან ყოველთვის ნათლათ გამოსჭვივის.

მხოლოდ უფლებრივი, ფორმალური თანასწორობა რომ ყოფილიყო, იგი ფაქტიურათ ჩვენს საზარალოთ დარჩებოდა, და ამ ნაკლის გამოსწორება კი შეადგენს ხელშეკრულების უმთავრეს ღირსებას.

საერთოდ ხელშეკრულება ახლო დემოკრატიულ ნიადაგზეა აგებული. მისი ხაზი—ეს თანასწორ და სრულუფლებიან მხარეთა მართალა სრულუფლებიანათ აღიარებას წარმოდგენას.

ეკონომიურ თანასწორობის გვერდით—არის ერთი პოლიტიკურიც, ეს ის, რომ ნავთის პროდუქტები საქართველოსაგან საბჭოთა რუსეთის მტრების ხელში არ მივიდეს. და ეს სავსებით მისაღებია საქართველოს დემოკრატიისთვის, ამით ჩვენი ნეიტრალური მდგომარეობა სამოქალაქო ომის მიმართ სავსებით დაცულია.

ჩვენ გვინდა მხოლოდ გამოვთქვათ იმედი, რომ ასეთ ხელშეკრულებას უნდა განსაკუთრებით ფაქიზათ მოეპყრობა—დემოკრატიულ თქმას დემოკრატიული ასრულება. იგი უნდა უდავო საქმეთ იქცეს.

იგი უნდა პირნათლათ შესრულდეს ორივე მხრისგან.

რამდენათ კარგია იგი, როგორც პირობა, იმდენათ ცუდი და საშინელი იქნება ურთიერთობისთვის, მისი დარღვევა, მისი გაუქმება.

ჩვენ გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამ პირობის დადებით იწყება ახალი ხაზი ურთიერთობისა საქართველოსა და რუსეთ აზერბეიჯანს შორის. და რომ ხანა თქმისა და მოტყუების—სიტყვით ნდობის და საქმით უნდობლობის—უკვე წარსულს ჩაბარდა.

საქართველოს თავის მხრივ არ სჩვევია თავის სიტყვის ღალატი.

რუსეთ აზერბეიჯანზეა დამოკიდებული ამ პირობის რეალიზაცია.

ჩვენ ველით მათგან ამას. მათ უნდა აასრულონ ის, რაც დასწერეს.

პრესა

„საქართველო“ განაგრძობს კომპანიას ჩვენი მთავრობის ჩამოსაგდებათ, თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ უკანასკნელ ნომერში მან ცოტა არ იყოს შეიმოკლა თავისი მადა. ამ დღეებში მან წამოაყენა ლოზუნგი:

მთავრობა მთელი თავისი შემადგენლობით დაუყონებლივ უნდა გადადგესო“.

უკანასკნელ ნომერში ეს ლოზუნგი უკვე შეკვეცილია:

„ზოგიერთი მინისტრის მთავრობაში დარჩენა და მათი სამინისტროებში იმ სახით დატოვება, როგორც დღეს არის, ქვეყნის თავდაცვას დაახიანებს“. (ხაზი ჩვენია).

აქ მხოლოდ „ზოგიერთ“ მინისტრზეა ლაპარაკი. მაგრამ გრძნობთ, რომ გაზეთი მთელი მთავრობის წინააღმდეგ ილესავს კბილებს, რადგან მისი მთელი პოლიტიკური ხაზია მისთვის მიუღებელი.

„მმართველმა წრემ უნდა გამოსცვალოს მთავრობის შემდგენლობა, რომელმაც საზოგადოებაში, სრულიად სამართლიანად, ნდობა დაჰკარგა და მისცეს ისეთი პირებს მართვა გამგეობის სათავეში, რომელნიც, ცოტა მანძილზე მაინც, ხალხს იმედს განუახლებენ და ოდნავ მაინც შეანელებენ იმ ვაკხანალიას, რომელიც ურცხვად ბატონობს სახელმწიფოს ყოველს დარგში“.

მთავრობამ ნდობა ხალხში კი არ დაჰკარგა, არამედ იმ საზოგადოებაში, რომელიც „საქართველოს“ გარშემოა შეკრებილი და ეს ნდობის დაკარგვა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ მთავრობის პოლიტიკა მთელი ხალხის კეთილდღეობაზეა მიმართული, და თანახმა არ არის ეს კეთილდღეობა მსხვერპლად შეწიროს მემამულეების და გასპეკულიანტებული ვაჭრების სარგებლობას. ამ წრეების ინტერესების გამომხატველი გაზეთის სულის ჩამდგმელთ თათქარიძისებური სიზმარი უნახავთ და თავის გაზეთში უამბობენ მკითხველებს: მათ მოზმანებიათ, რომ

„მთავრობა თავის შემადგენლობით გადადგა, მართალია ეს ხდება არა ოფიციალურად, არა პარლამენტურად, არამედ ფარულ-მალულად, ფრაქციის დახშულ სხდომაზედ, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად რჩება. შემდგარია „სარეკომენდაციო“ კომისია მთავრობის წევრების შესარჩევად. ჩვენ ჯერ არ ვიცით კომისიამ მთავრობა შეადგინა თუ არა მაგრამ გვესმის, რომ ამ წრეში განზრახულია ძველ მინისტრებიდან ზოგი ისეთი დასტოვონ, რომელიც საზოგადოებრივი აზრისთვის მიუღებელია. სხვათა შორის ერაძეც“.

„საქართველოს“ ამ ბოლო დროს ცუდი ნიშნები ემჩნევა: თითონვე გამოიგონებს ჭორს, თითონვე დაიჯერებს მას და ამას გამო სწერს, წერილებს, რომლებშიაც ამავე ჭორს იმოწმებს. ამას წინეთ გამოიგონა, მმართველმა პარტიამ ბენია ჩხიკვიშვილის პოლიტიკა დაიწუნა, იგი გადააყენაო. ეს ამბავი „საქართველოს“ რედაქტორმა ბ. სპ. კედიამ დაიჯერა და მილოცვაც კი მისწერა თავის მეგობრებს, ჩვენმა პოლიტიკამ გაიმარჯვაო. უკანასკნელ ნომრებში გაზეთმა ბევრი რამ მოჩმახა მთავრობის გადადგომაზე და ახალი მინისტრების შეყვანაზე. დღეს ეს თავის მონაჩმახი თითონვე დაუჯერებია და ამაზე აშენებს თავის წერილებს. სწორედ კარგი ხელობაა უსაქმო ხალხისათვის.

პანისლამიზმი, პანოტომანიზმი, პანთურქიზმი და პანთურანიზმი

თურქები ამ-ჟამად ერთხელ კიდევ თამაშობენ თვალსაჩინო როლს კავკასიის ცხოვრებაში. ეს საკითხი დღეს არ არის ინტერეს მოკლებული მკითხველი საზოგადოებისათვის. ამიტომ, შეიძლება, სასარგებლო იქნეს გავაცნო მკითხველებს ოსმალეთში არსებული პოლიტიკური მიმდინარეობები, პოლიტიკური სკოლები.

ყველაზე პირველი და ყველაზე ძველი პოლიტიკური სკოლა ოსმალეთში პანისლამიზმი იყო. პანისლამიზმის ძირითადი პროგრამა მოკლეთ შემდეგში გამოიხატება: ყველა ისლამური ქვეყნები უნდა შემოკრებილიყო ერთი მთავრობის დროშის, ერთ პოლიტიკურ ცენტრის გარშემო. ეს სკოლა მე-XIV-ე საუკუნის დასაწყისში დაარსდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს სკოლა დაიბადა ოსმალეთის თურქების იმპერიასთან ერთად. მაგრამ მისი გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში უფრო საგრძნობი შეიქნა მე-XVI საუკუნის დასაწყისში. ამ დროს მაშინდელმა მეფემ სულთან სელიმ პირველმა პირველად გადახდგა ნაბიჯები ამ იდეის გასავრცელებლათ—აზიაში და აფრიკაში მცხოვრებ ისლამის მიმდევართა შესაკრებათ და მათი ქვეყნების დასაპყრობათ და ანექსიის მოსახდენათ. ამ მეფემ პირველათ ხელთ იგდო ხალიფატი, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ისლამურ ქვეყნებისათვის, და თავისი თავი ხალიფად გამოაცხადა; ამგვარათ მის მთავრობას მიეცა სასულიერო (პატრიარქი) ხასიათი. ამ მეფემ, თავისი მუშაობით გულშეჯერებულმა, ერთ დღეს დაჰხედა მთელი ქვეყნის რუკას და მწუხარებით შენიშნა: „ეს ქვეყანა ერთ მეფეს არ ეყოფაო“! ამ სკოლამ ოსმალეთის პოლიტიკურ ისტორიაში დიდი როლი ითამაშა; მან ხელი შეუწყო ისლამისტურ იმპერიალიზმის დაბადებასა და გაძლიერებას. ეს ის დრო იყო, როდესაც ერთ მხრივ სარწმუნოებრივი და ფეოდალური ევროპის პოლიტიკური ცხოვრება და ცივილიზაცია იშლებოდა, მეორე მხრივ არაბეთის, სელჯუკების და სპარსეთის ქვეყნები ან დანგრეული, ან ძალზე დასუსტებული იყვნენ; ასეთი საერთო მდგომარეობა ამ სკოლას აძლიერებდა და ძალას ჰმატებდა მას. მაგრამ როდესაც ფეოდალების კოშკებმა ადგილი დაუთმეს მეფეების სასახლეებს და ფეოდალებმა თავიანთი ძალა და უფლება მეფეებს გადასცეს, ხოლო ევროპის ეკლესიისა და კოშკების ცივილიზაციას მოჰყვა ძლიერი ბურჟუაზიული ცივილიზაცია და გაჩნდნენ ნაციონალური და იმპერიალისტური მთავრობები,—მაშინ ამ სკოლამაც თავისი გავლენა დაჰკარგა, თავისი სამოქმედო ასპარეზი შეავიწროვა და ამ რიგათ ნიადაგი მოუმზადდა ახალ პოლიტიკურ სკოლას პანოტომანიზმს.

პანოტომანიზმის ძირითადი პროგრამა მოკლეთ შემდეგია: არსებობდეს როგორც მუსულმანი, ისე ქრისტიანიც; ხოლო სხვადასხვა ნაციებიდან ერთი ოსმალეთის ნაცია, ოსმალეთის სამშობლო, ოსმალეთის სახელმწიფო უნდა შეიქნეს. ეს სკოლა დაიბადა მე-XVIII საუკუნეში, სულთან სელიმ მესამის დროს და სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში გავლენა მოიპოვა მე-XIX საუკუნის ნახევარში. ამ სკოლისა და მისი წარმომადგენლების მუშაობის წყალობით ოსმალეთი 1856 წლის პარიზის ხელშეკრულების ძალით ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში შევიდა. პანოტომანისტები უარყოფდენ თავიანთ თავის რომელიმე ნაციისათვის მიკუთვნებას და ამბობდენ, ჩვენ მხოლოდ ოსმალები ვართო; ისინი უარყოფდენ თურქობას, არაბობას, ბერძნობას, სომხობას, ალბანელობას და სხვ., სცნობდენ მხოლოდ ოსმალობას და ამრიგათ ცდილობდენ ერთ ოსმალურ ნაციის („nation de taite“) შექნას. პანოტომანისტებისათვის პანისლამიზმი არ არსებობდა, როგორც იდეა, არამედ მხოლოდ როგორც იარაღი. ამ რიგათ განაგრძობდა ეს სკოლა თავის მუშაობას.

მაგრამ ცხოვრება ვითარდებოდა და ამ სკოლასაც ნიადაგი ეცლებოდა ფეხ ქვეშ. იმ დროს ერთ მხრივ ოსმალეთში მცხოვრებ ქრისტიან ერებში ნაციონალური შეგნება ასე თუ ისე გაღვივებული იყო, არსებობდა ცოტათ თუ ბევრათ ნაციონალური ორგანიზაციები, მუსულმანი ერებიც ასე თუ ისე იმავე ნაციონალურ შეგნების გავლენის ქვეშ იყვნენ; მეორე მხრივ კაპიტალისტურ ევროპის სახელმწიფოები აწარმოებდენ თავიანთ პოლიტიკურ და ეკონომიურ მუშაობას ოსმალეთში. ყველა ამაებმა და მასგან გამომდინარე მოვლენებმა დასახელებულ სკოლას მუშაობა გაუძნელეს და იგი ვეღარ ახერხებდა უბედურებისაგან გადაერჩინა ოსმალეთი. ბევრი რეფორმების გატარება სცადა ამ სკოლამ, როდესაც იგი მთავრობაში იყო; მან ანგარიში გაუწია და ბევრი დაუთმო შინაურ და გარეშე ძალთა მოთხოვნილებებს, ბოლოს 1907 წლის რევოლუციის დროს კონსტიტუცია შემოიღო. მაგრამ ამ ზომებმა მას მაინც ვერ უშველა და მისი გავლენა თან და თან შესუსტდა. ამით ნიადაგი მოუმზადდა ახალ პოლიტიკურ სკოლებს—პანთურქიზმსა და პანთურანიზმს.

ორივე ეს სკოლა მიმდინარე საუკუნეში წარმოიშვა. პანთურქიზმსა და პანთურანიზმს შორის განსხვავება შემდეგია: პირველი თურქების ქვეყნების, ხოლო მეორე მთელი თურანის ქვეყნების შემოკრებას სცდილობენ. ჩვენ ვიცით, რომ თურანის რასაში სხვადასხვა ნაწილები შედიან: თურქები, თათრები, იუზბეკები, ყირგიზები, სართები, ტუნგუზები, იაკუტები და სხვ. პირველი ვიწრო გეოგრაფიულ ფარგლებში თურქების იმპერიის, ხოლო მეორე—ფართო გეოგრაფიულ ფარგლებში თურანის იმპერიის დაარსებას ცდილობენ. ორივე სკოლა თავიანთ იმპერიის ფარგლებში სხვადასხვა ეროვნულ უმცირესობათა გათურქებისა და გათურანების პოლიტიკას აწარმოებდენ. როგორც ვხედავთ, ესენი პანოტომანიზმის წინააღმდეგ ცდილობენ შექმნან ერთი გარკვეული, მტკიცე ნებაზე დამყარებული ნაცია („nation de volonté“) პანთურქისტებსა და პანთურანისტებისათვისაც ისე, როგორც პანოტომანისტებისათვის, პანისლამიზმი არ არის იდეა, არამედ იარაღი იდეის განსახორციელებლათ.

1907 წლის რევოლუციის შემდეგ ოსმალეთში ორი დიდი პოლიტიკური პარტია დაარსდა: პირველი არის „ითილაფ ხურრიეთ“-ის პარტია (სხვა და სხვა ერების შეთანხმება და თავისუფლება) და მეორე—„ითიხად-თერექქი“-ის პარტია (ერთობა და პროგრესი). ორივე ეს პარტია პირველათ პან ოტომანისტების სკოლის ნიადაგზე იდგენ; მაგრამ 1911—1912 წწ. იტალია-ბალკანეთის ომების დროს მეორე პარტია გადავიდა პან-თურქიზმისა და პან-თურანიზმის პოზიციაზე. პანთურქისტებმა და პან-თურანისტებმა ეხლახან განვლილ მსოფლიო ომში დაინახეს ხელსაყრელი პირობა თავიანთ იდეების განსახორციელებლათ. ენვერ-ფაშის ურდოების შემოსევას ამ ომის დროს ამიერ-კავკასიაში დასახელებულ მიზნებისთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. კავკასიას მათთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან იგი (კავკასია) თურქებისა და თურანის ქვეყნებს შუა მდებარეობს. ისინი დიდი ხანია პროპაგანდას ეწევიან კავკასიაში ამ მიზნებისათვის; კარგა ხანია ოსმალეთის სკოლებში ბავშვებს სიმღერაში ასწავლიან: კავკასია ჩვენი გზა და ხიდია თურანისაკენო.

მსოფლიო ომის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ოსმალეთში არსებობს ორი მთავრობა: ერთი სტამბოლში და მეორე ანგორაში. სტამბოლში არსებული ფერიდ ფაშას მთავრობა პან-ოტომანისტური მთავრობაა; ანგორაში მოწყობილი ქემალ-ფაშას მთავრობა კი არის პანთურქისტული და პან თურანისტული მთავრობა. ქემალ-ფაშის ურდოები ქიაზიმ კარა-ბექირ ფაშის სარდლობით ახლა მეორეჯერ ესხმიან თავს კავკასიას. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ შედეგებს მიაღწევს ეს ახალი თავდასხმას მაგრამ, რაც უნდა იყოს, ადგილობრივ მუსულმანთა დემოკრატიას დღესვე გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს ის უბედურება, რაც ამიერ-კავკასიაში შეიქნებოდა, თუ დღევანდელი თავდამსხმელები გამარჯვებას მიაღწევდენ.

თამაზ ხიმშიაშვილი.

ისევ ფრონტი!

დიდი ხანი არაა, რაც მოვისვენეთ, ფრონტზე სიწყნარე ჩამოვარდა, ცოტა თავისუფლად ამოვისუნთქეთ, შინაური საქმეების მოწყობას შევუდექით, მაგრამ მტერს შეშურდა. და აი გაანადგურა რა მეზობელ სომხეთის რამდენიმე დაბა ქალაქი, ჩვენკენაც მოიწევს.

ჩვენ არ ვიცით გადმოილახავს მტერი ჩვენს საზღვრებს თუ არა, გაბედავს ის საქართველოზე თავდასხმას თუ არა, მაგრამ გათამამებულმა სომხეთზე დროებითი გამარჯვებით, შესაძლებელია არც ჩვენ დაგვტოვოს უყურადღებოთ და მოინდომოს თავისუფალ საქართველოში შემოჭრა.

თავისუფალი, ძლიერი საქართველო! ეს ხომ შიშის ზარია ოსმალეთის ავანტიურისტებისათვის. და თუ მან მართლაც გაბედა ჩვენი რესპუბლიკის საზღვრებზე გადმოსვლა, ჩვენ ისევ გაგვიჩნდება ფრონტი.

ჩვენი სამხედრო ძალა კიდევ ერთხელ დაუმტკიცებს, როგორც თავხედ მტერს, ისე მთელ ქვეყანას, რომ ის არავის შეუსევა, ხოლო შემოსეულ მტერს კი შესაფერ პასუხს გასცემს.

ჯერ ომი არ დაწყებულა... თოფი არ გავარდნილა, მაგრამ მდგომარეობა სერიოზულია.

გამოცხადდა მობილიზაცია. ერთსულოვნად ჩატარებული მობილიზაცია თავდებია ომში გამარჯვების.

ზურგის გამაგრება, მთელი რესპუბლიკის ფრონტთან გადაბმა დაკავშირება—აი, ჩვენი დღევანდელი ლოზუნგი.

ფრონტის დამხმარე კომიტეტებო! განაახლეთ თქვენი მუშაობა-მოქმედება.

ჩვეულებრივ, უხვად დამხმარე ხელი გაუწოდოთ შინ დარჩენილებმა—ფრონტზე წასულთ. ვერავითარმა შინაურმა დარდმა და გაჭირვებამ ვერ უნდა დაჩრდილოს ფრონტის დახმარების, ფრონტის გამაგრების საქმე.

ფრონტის დამხმარე უმთავრესი კომიტეტი თფილისში ანახლებს რა მუშაობას,—მოუწოდებს ყველას დაუყონებლივ შეუდგენ მუშაობას.

პრეზიდიუმი.

ოსმალთა სომხეთზე თავდასხმის გარშემო

სომხეთის მთავარ სარდლის სამხედრო ცნობა ნოემბრის 14. ჯაჯურის მიმართულებით ნოემბრის 13 საღამოთი მტერმა შემოუტია ჩვენს პოზიციებს სოფ. კანახ-კრანის ჩრდილო აღმოსავლეთით. ჩვენი ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევს. სოფ. პატარა კაშატაკში ნოემბრის 13 ხელთ ვიგდეთ ორი ოსმალო მხედარი ოსმალეთის მე-9 დივიზიის შტაბიდან. სოგუთლინის მიმართულებით ნოემბრის 12 დილის 11 საათზე ჩვენ ქვეითა ჯარის ხუთი ბათალიონით შეტევა დავიწყეთ სოფ. ხარუმ-გადატარუ, ხარუმ შარლის მოწინავე ნაწილებზე. ნოემბრის 13 ჩვენ გამოვდევნეთ მტრის მზვერავები სოფ. კირიხიდან.

დღეს

ბოლშევიკები იუწყებიან: თანახმად ჩვენ მხარეზე გადმოფრენილ ვრანგელის ფრინავისა, ვრანგელს თავისი ჯარი დაშლილად გამოუცხადებია. ბოლშევიკების მისიასთან საქართველოში არსებული ბეჭდვითი ბიურო იუწყება, რომ ვრანგელმა ყირიმი დასტოვა.

ლიონის ცნობებით ყირიმის ევაკუაცია 11 ნოემბერს დაწყებულა. ევაკუაცია საფრანგეთის სამხედრო გემების და რუსეთის ნავების დახმარებით ხდება.

ამერიკა'სა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო ხელშეკრულება დაიდო.

ლიონის ცნობით ყირიმის ფრონტზე. გენ. ვრანგელის ჯარი საგრძნობლათ დამარცხდა.

ხონხეთ ქემალისტებს შორის ბრძოლა გრძელდება.

გაგზავნილმა ჩვენმა მზვერავებმა სოფ. ხარუმში მტერი ვერ აღმოაჩინეს.

ა რაქსის ნაპირას მარქანის ხიდის რაიონში ნოემ. 14 გათენებისას მტერი ტყვიისმფრქვეველებიდან და თოფებიდან ესროდა ჩვენს პოზიციებს, რომლებიც მდინარის მარცხენა ნაპირზე იმყოფებოდა. ნოემ. 14. გათენებისას შარურში ბრძოლა იყო.

ბახარ-გეჩარში. ნოემ. 12. ზოდის გადასავალზე ჩვენ მზვერავებს შეტაკება ჰქონდათ მოსტარის ქვეითა და ცხენოსან პარტიზანების რაზმთან. 6 საათის ბრძოლის შემდეგ თათრები დიდი დანაკლისით უკუ ვაგდეთ სოფ. დემურ-იამჩტისაკენ.

ჯაჯურის მიმართულებით ნოემ. 14 მტრის ძლიერი ძალების შემოტევის გამო ჩვენმა ნაწილებმა დასტოვეს ჯაჯურის გადასავალი და ნოემბ. 14 საღამოთი სოფ. ამამლისაკენ დაიხიეს.

შარურის მიმართულებით ნოემბ. 14 ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა შეუტია ნაწილობრივ სოფ. კუში-დემურჩის, ორტულუს და ტაზეკენდს. ჩვენ რაზმს უნდოდა გამოერკვია მტრის ძალა და ის, თუ სად იყო იგი დაბანაკებული ბრძოლის დროს მტერმა შესძლო სოფ. ორშლუ ტაზაკენტთან აეფეთქებია ჩვენ ჯავშნიან მატარებლის უკან რკინის გზის ხიდი დროზე მოსულ ქვეითა ნაწილების დახმარებით მტერი გამოვრეკეთ სოფ. ორელუ-ტაზეკენტიდან და ამგვარათ ჯავშნიან მატარებელს საშუალება მიეცა დაბრუნებოდა ჩვენი პოზიციების ხაზს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

ნოემბრის 16.

რუსეთის დეპეშ. სააგენტო

ყირიმის ფრონტი.

მოსკოვი. 15 ნოემბერი უკანასკნელ კვირეში წითელმა ჯარმა სამხრეთის ფრონტზე ბრწყინვალეთ გაიმარჯვა. გმირმა წითელმა ჯარმა გასწმინდა ყირიმის გამაგრებული ყელი ვრანგელის ბანდებიდან და ახლა თვით ყირიმის სიმაგრის მიმართულებით მიემართება. რუსეთის თეთრგვარდიელთა რაზმები, რომლებიც ყირიმის ნახევარ კუნძულზე დარჩენ, უნდა განადგურდენ. დიდმა გამარჯვებამ არ უნდა შეანელოს ჩვენი ენერგია. პირიქით, ჩვენი შეტევა ახლა უნდა გავაფართოვოთ.

სამხედრო ცნობა.

მოსკოვი. 15 ნოემბერს ლიტონის რაიონში ჩვენი ცხენოსანი ჯარი შეტევას კარგათ აწარმოებს. პროსკუროვის მიმართულებით 50 ვერსის გასწვრივ მკაცრი ბრძოლა სწარმოებს. კამენეც—პოდოლის მიმართულებით ნოვოუშიცის დაკავების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა მდინარე უშიცას მიაღწიეს. სიმფეროპოლის მიმართულებით თანახმად მიღებულ ცნობებისა ჩვენ ჯარებს სიმფეროპოლი აუღიათ. ფეოდოსიის მიმართულებით ჩვენი ნაწილები განაგრძობენ ენერგიულ შეტევას. სად. სეიკლერის აღების დროს ჩვენ დიდძალი ნადავლი ჩავიგდეთ ხელში.

თანახმად დამატებითი ცნობებისა ყირიმის ნახევარ კუნძულზე ნოემბრის 14, ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა აიღო ფეოდოსია, სადაც ხელთ იგდო დიდძალი სამხედრო ნადავლი. მოპირდაპირის ჯარებში სრული დემორალიზაცია არის გამეფებული და იხევს რა თავზარდაცემული, სძარცვავს მცხოვრებლებს. დაუღალავი დევნა ვრანგელისა გრძელდება. თანახმად ჩვენ მხარეზე გადმოფრენილ ვრანგელის მფრინავის ცნობებისა გენ. ვრანგელს ჯარი დაშლილად გამოუცხადებია, ამასთანავე ყოველ ჯარისკაცს უფლება ეძლევა დანებდეს წითელ ჯარს სამოწყალოდ. ნოემბრის 13 მტრის უმაღლესი სარდლობა იმყოფებოდა სევასტოპოლში, მას განზრახვა ქონდა ყირიმიდან გასვლისა. ძვირფას ქონებას გემებზე ტვირთავდენ.

საზავო მოლაპარაკება პოლონეთთან.

მოსკოვი. 16 ნოემბერი. ნოემბრის 13, რიგაში დაიწყო მოლაპარაკება პოლონეთთან საბოლოო ზავის შეკვრის შესახებ. ამხ. იოფემ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ პოლონეთის საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა რუსეთის საზარალოთ შეცვალა. პოლონეთის სარდლობამ რამოდენიმეჯერ დაარღვია საზავო პირობები. პოლონეთის ჯარები ჯერ კიდევ არ არიან გაყვანილნი რუსეთის ტერიტორიიდან. პოლონეთის მთავრობამ ხელშეკრულება დადო პეტლიურასთან და უკრაინის ვიღაც მთავრობის მეთაურთან. პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ უპასუხა იოფეს ამ შენიშვნებზე და განაცხადა, რომ პოლონეთის საზოგადოება რუსეთთან ომს დასრულებულად სთვლის. რაც შეეხება პეტლიურას და ბალახოვიჩის რაზმებს, პოლონეთს არ შეუძლია მათი განიარაღება. ვინაიდან ისინი პოლონეთის ტერიტ. არ იმყოფებიან. დომბსკის დეკლარაციის გამო პირველი სხდომა გადაიდო. სხდომის განახლებისას ორივე მხარემ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას, რომლის ძალით პოლონეთი ვალდებულია გაიყვანოს თავისი ჯარები რუსეთის ტერიტორიიდან.

პოლონეთმა 19 ნოემბერს საბჭოთა ტერიტორიიდან უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები.

ინგლისი არ არის ვრანგელის მომხრე.

ინგლისური გაზეთები სწერენ, რომ შავ ზღვაზე ინგლისის გემების ყოფნა სრულიად არ ნიშნავს იმას, თითქოს ინგლისს ვრანგელის დახმარება სურდეს, ინგლისის საადმირალომ ხმელთა შუა ზღვის ფლოტის მთავარ სარდალს უბრძანა, რათა მან სასტიკი ნეიტრალიტეტი დაიცვას.

ბალახოვიჩის მოძრაობა.

როგორც სჩანს, ბალახოვიჩმა ხელი აიღო მინსკის აღებაზე და მთელი თავისი სამხედრო ძალები სამხრეთის მიმართულებით გადაიყვანა იმ მიზნით, რომ უკრაინის ჯარს შეუერთდეს.

აჯანყება მექსიკაში.

მექსიკაში ნავთსადგურის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. მექსიკის კომუნისტები მუშებს საერთო გაფიცვისაკენ მოუწოდებენ.

ბრძოლა იტალიაში.

იტალიის ბევრ ქალაქში შავ რაზმელთა და სოციალისტებს შორის შეტაკებები ხდება. ქალაქ ვერონეში საერთო გაფიცვა დაიწყო.

ლიონის ცნობები

ყირიმის ევაკუაცია.

წითელ არმიაში, რომელიც პერეკოპს უტევდა, შედიოდა 27 დივიზიამდე და ძლიერი არტილერია იმ დროს, როდესაც გენ. ვრანგელს მხოლოდ 3 დივიზია ყავდა, რომელიც გმირულად იბრძოდა და მტრის იერიშებს იგერიებდა. ნოემბრის 11 დაიწყო ყირიმის ევაკუაცია. ევაკუაცია საფრანგეთის სამხედრო გემების „ვალდეკ-რუსსოს“ და „პროვანსის“ და რუსეთის ნავების დახმარებით ხდება.

ხელშეკრულების რატიფიკაცია.

უნგრეთის ეროვნულმა ყრილობამ ტრიანონის ხელშეკრულების რატიფიკაცია მოახდინა.

არ უშვებენ.

ლიონი. 16 ნოემ. (რადიო) საფრანგეთის პრესა იუწყება: ინგლისი და საფრანგეთი შეთანხმდენ იმაში, რომ გერმანია არ დაუშვან ერთა ლიგის მიმდინარე სესიაში.

გენ. ვრანგელი სევასტოპოლში მივიდა. გამორკვეულია, რომ წითელ არმიელების მიერ ფრონტის გარღვევის მიზეზი ყოფილა ვრანგელის ჯარში მომხდარი აჯანყებანი.

ს. რ. ს. ს. რ. წარმომადგენლობასთან საქართველოში არსებული ბეჭდვითი ბიუროს ცნობები.

ყირიმის ფრონტი.

ლიონი, (რადიო). 15 ნოემბერი ყირიმის ფრონტზე მოვლენები სასწრაფოდ ვითარდებიან. გენ. ვრანგელი სევასტოპოლში იმყოფება. ჩვენ მივიღეთ ყოველგვარი ზომები ფრანგ ქვეშევრდომთა და სამხრეთ-რუსეთის მთავრობის დასაცავათ ბოლშევიკების რეპრესიებისაგან.

ლიონი, (რადიო). 16 ნოემბერი გენ. ვრანგელმა ყირიმი დასტოვა. გაემგზავრა რუსეთის გემით. გალიპოლიის ყელზე გააშენებენ ყაზარმებს იმ რუს ლტოლვილთა მოსათავსებლად, რომლებიც კონსტანტინოპოლში მოვლენ, ვინაიდან კონსტანტინოპოლი უკვე სავსეა ლტოლვილებით.

ბალახოვიჩი.

მოსკოვი. (რადიო). 16 ნოემბერი. ბალახოვიჩმა, როგორც სჩანს, თავი დაანება მინსკის დაკავებას და თავისი ძალები სამხრეთისაკენ დაძრა იმ მიზნით, რათა შეუერთდეს უკრაინის ჯარს.

საქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

ნოემბრის 16.

მღელვარება იაპონიის გარნიზონებში.

მოსკოვი. „იზვესტია“ იუწყება: თანახმად ტოკიოდან მოსულ ცნობისა, იაპონიის ზოგიერთ გარნიზონებში მღელვარება ხდება. ოსაკას რაიონში ჯარისკაცების დასამშვიდებლად იარაღს მიმართეს.

ამერიკა და საბჭოთა რუსეთი.

თანახმად „დეილ ტელეგრაფის“ ცნობისა, ამერიკელებმა საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულება აღადგინეს, კონსტანტინეპოლში მყოფმა ამერიკის საგარეო ვაჭრობის საზოგადოებამ ბოლშევიკებთან ნოვოროსიისკში ხელშეკრულება დადო ნავთის მიწოდების შესახებ.

ამერიკის არმია.

ამერიკის მთავარი შტაბი ამუშავებს პროექტს ამერიკის არმიის 7 მილ. კაცამდე გადიდების შესახებ. ამიტომ საყოველთაო სავალდებულო სამხედრო ბეგრის შემოღება არის მოსალოდნელი. ეს ცნობები ოფიციალურ წყაროებიდან გამომდინარეობენ.

ეკონომიური განადგურება მოელის.

ლონდონი. მწერალმა უელსმა, რომელიც ახლახან დაბრუნდა საბჭოთა რუსეთიდან, პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს განაცხადა, რომ მისი აზრით, რუსეთს ამ მოკლე ხანში სრული ეკონომიური განადგურება მოელის.

ქემალ-ფაშის სამეფოში.

კონსტანტინოპოლი. ოსმალეთის პრესა იუწყება: ანატოლიიდან ჩამოსული ავტორიტეტული პიროვნება შემდეგს ცნობებს გადმოგვცემს: „ანატოლიაში პირველი სიცივეები დაიწყო. პროვინციებში პურის კრიზისია. ანგორის ვილაეთში ამის გარდა ბინის კრიზისიც არის. ანგორის მთავრობას უკავია სასტუმროები, კერძო პირების დიდი ბინები, სკოლები და სხ. ქემალმა სამოქალაქო ადმინისტრაცია მოაწყო. ყოველი ოლქი სანჯაკათ გადაკეთდა. მათ განაგებს დივიზიების სარდლები აღჭურვილი განუსაზღვრელ უფლებებით. არა მუსულმანები გაიწვიეს იძულებით სამუშაოებზე რკინის გზებზე. დიდი ეროვნული ყრილობა 2 ბანაკად გაიყო: ექსტრემისტებათ, რომლებიც მოითხოვენ ბოლშევიკებთან კავშირს და ზომიერებათ, რომლებიც ბოლშევიკების წინააღმდეგ არიან. ამ ორ ბანაკს შორის მტრული განწყობილებაა.

რესპუბლიკის თავდაცვა

ხუთშაბათს, 18 ნოემბერს საღამოს 7 საათზე ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია რესპუბლიკის დამხმარე მთავარი კომიტეტის სხდომა. ფრონტის კომიტეტის წევრებად ითვლებიან: ქრისტინე შარაშიძე (დამფუძ. კრების პრეზიდიუმის წევრი), ნიკ. იმნაიშვილი (დამფუძნებელი კრების სამხედრო კომისიის წევრი), ფანცხავა (მუშათა პროფეს. კავშირების წარმომადგენელი), ი. ცინცაძე (სახალხო გვარდიის წარმომადგენელი), ტიტე ართმელაძე (რესპუბლიკის ჯარის წარმომადგენელი), მ. ლლიძე (ვაჭარ-მრეწველთ წარმომადგენელი), მაკ. ჩხენკელისა, ნინო გაბაშვილისა, მარ. რამიშვილისა, სოლ. დოლიძე, ო. გეგეჭკორისა, ანდრონიკაშვილისა, პელ. კიკვაძისა, გრ. ლორთქიფანიძე, ნინო გიორგაძისა, მილ. ბახტაძისა, ელ. ელიავასი, გიორგი ანდღულაძე, ძიძიშვილისა, კვინიტაძისა, ნ. ანდღულაძისა და სერ. ჟორჟოლიანი. (კომიტეტის თავმჯდომარე).

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის დადგენილებით კომიტეტის სხდომაზე, რომელიც შესდგება ხუთშაბათს 18 ნოემბერს, სრულ სღ. 7 საათზე, ქალ. თვითმართველობის დარბაზში მოწვეულნი არიან გარდა უკვე კომიტეტში წარმოდგენილ ორგანიზაციებისა შემდეგ დაწესებულებათა წარმომადგენელნი: პარტიათა, ეროვნულ უმცირესობათა, კოოპერატივთა, რკინის გზის, ერობის, ქალაქის, ქალაქთა კავშირის, სახალხო უნივერსიტეტის, წითელი ჯვრის, „ჩემო“, ბანკები, ფაბრიკანტებისა და მექარხნეების საზოგადოების, სტუდენტებისა, პრესის, დეპეშათა სააგენტოს, სახელმწიფო მოსამსახურეთა კავშირის, მეღვინეთა, მეცხვარეთა, მოსწავლე ახალგაზრდათა და აგრეთვე კერძო პირები. არავის უწყება არ გაეგზავნება, იმედია, ყველა აღნიშნული ორგანიზაცია მხურვალე მონაწილეობას მიიღებს რესპუბლიკის დაცვის საქმეში სხდომაზე დასწრებით.

სავაჭრო ხელშეკრულება რუსეთსა და ამერიკას შორის

(საქართ. არსებულ რ. ს. ფ. ს. რ. მისიის ბეჭდვითი ბიულეტენიდან).

ნაუენი. 11 ნოემბერი (რადიო) ლუიზა ბრაიანი 6 ნოემბერს მოსკოვიდან შემდეგ ცნობას იძლევა:

„ამერიკულ სინდიკატის წარმომადგენელი ვანდერლიპი დღეს, ღამით, საგანგებო მატარებლით გაემგზავრა მოსკოვიდან რეველში. ვანდერლიპი აწარმოებდა მოლაპარაკებას ისეთ სავაჭრო ხელშეკრულების შესაკვრელად, რომელიც თავისი სიფართოვით წარმოადგენს უდიდეს ხელშეკრულებას კომერციულ ურთიერთობათა ისტორიაში. ბრაიანი ელაპარაკა ვანდერლიპს საგარეო საქმეთა კომისარიატში მაშინვე მის მიერ კამჩატკის შესახებ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ. ვანდერლიპმა მას შემდეგი გადასცა:

„სტატს-სეკრეტარმა კოლბმა შეატყობინა მოსკოვს, რომ სენატორი გარდინგი აწარმოებს მოლაპარაკებას შეერთებულ შტატების მიერ საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ. პირადათ მე ჩამოველი რუსეთში, როგორც ვანდერლიპის სინდიკატის წარმომადგენელი და მხოლოდ კომერციული მიზნით ეხლა მე შევკარი პირობა, რომლის ძალითაც ნებადართულია—60 წლის განმავლობაში რუსეთის ტერიტორიის ნაწილის ნავთით, ქვანახშირით და თევზით მდიდარის, 400,000 კვ. მილის ექსპლოატაცია. ეს აძლევს შეერთებულ შტატებს შესაძლებლობას—დააწესოს კონტროლი ნავთზე მთელ წყნარ ოკეანეში—ამას გარდა, მე ხელი მოვაწერე შეთანხმებას, რომლის მიხედვითაც რუსეთის მთავრობას უფლება აქვს 1921 წ. განმავლობაში შეიძინოს ამერიკაში 1 მილიარდის სხვადასხვა საქონელი და გადაიხადოს მათი საფასური ოქროთი, პლატინით, ნავთით და ნავთის პროდუქტებით და სხვა ნედლი მასალით, რომლის დიდი ნაწილი გასაგზავნათ უკვე მზათ არის.

საქონელი ამერიკიდან განაწილდება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში და ამგვარათ, ის არა ნორმალური პირობები, რომლებშიაც იაპონიამ შესძლო შორეულ აღმოსავლეთში მონოპოლიის ხელთ ჩაგდება, თავის თავად ისპობიან და ამერიკის საქონელი კვლავ გავრცელდება წყნარი ოკეანეს პორტებში, აღმოსავლეთ - ჩინეთის და ციმბირის რკინის გზების მიმართულებით და აგრეთვე ბალტიის და შავი ზღვის პორტებში. ვანდერლიპის სინდიკატს სურს გახდეს რუსეთის მთავრობის სავაჭრო აგენტი მაშინვე, რა წამს განახლდება სავაჭრო ურთიერთობა. ინგლისის ბლოკადის მოხსნა შესაძლებლობას გახდის რუსეთის მთავრობასა და ამერიკის კომერციულ ფირმებს შორის ყოველივე სავაჭრო ხელშეკრულების განხორციელებას, მით უმეტეს, რომ რუსეთი დაინტერესებულია მხარი დაუჭიროს და განავითაროს ასეთი ეკონომიური ურთიერთობა.

ამერიკის ხალხს აღარ შეუძლია კიდევ მოითმინოს ის ქაოტიური პირობები, რომლებიც გამეფებულია ეხლა ევროპაში, ამერიკამ უნდა გამოიყენოს შემთხვევა და აღადგინოს ევროპის ცხოვრების ნორმალური პირობები. ამის დასაწყისათ კი შეიძლება. ჩაითვალოს შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა რუსეთს შორის სავაჭრო ურთიერთობათა აღდგენა.

შემდეგ ბრაიანს მოყავს სია იმ საქონლებისა, რომლების შეძენასაც აპირებს რუსეთის მთავრობა შეერთებულ შტატებში ვანდერლიპის სინდიკატის შუამავლობით: 100 ოკეანეს და 2000 მდინარის გემი და მოტორიანი ნავი, 500 ელექტრონის ლოკომოტივი, 1000 აეროპლანი, 2500 მსუბუქი ავტომობილები, 3000 კომპლექტი ტელეგრაფის და ტელეფონების აპარატებისა, 5000 კომპლექტი ავტომატიურ პალებისა, 1000 საყინულე, 1000 რკინის გზის ექსკავატორი, 250 მიწის ამომღებ მანქანები ოქროს მადნებისათვის, 1000 ჰიდრავლიური სადგური, 10,000 ტონი ფოლადის ინსტრუმენტები 50,000 სასწორი, 50,000 საწერი მანქანები, 15 მილ. ფუთი ნახშირი, 25 მილიონი წყვილი ფეხსაცმელი, 3 მილ. ფუთი ტყავი, 7 მილიონი ფუთი ქსოვილები, 500 მილიონი კოლოფი შედედებული რძე, 500 მილიონი კოლოფი ხორცის კონსერვი და სხვა კონსერვები, 2 მილიონი ფუთი ფისი, 500,000 ფუთი (კოპრაჰი), 3 მილიონი ფუთი გვარჯილა, 1 მილიონი ფუთი ქიმიურ ნივთიერებები, 3 მილ. ფუთი მუხის ქერქი, 3 ფუთი ფერადები და შესაფერავი ნივთიერებანი, 5000 ორთქლმავალი, 1000 საბარგო ვაგონი 2 მილიონი ტონი „შპალები“ და „რელსები“, 2500 ორთქლის ტრაქტორები, 1 მილიონი სახნისი და სხვა ასეთები, 2000 „დონკრაზე“, 500 ორთქლის ქვაბები დიდი ზომისა, 350 ორთქლმავლები ვიწრო გზებისათვის, 300 წყლის ბრუნარი (турбин), 50 მშო (генератор), 350 ორთქლის მოტორები, 10,000 საბარგო ავტომობილი, 50,000 ელექტრონის დინამო-მანქანა, 300,000 ტონი ლითონი, 250,000 ტონი საყე (каучук), 25,000 ტონი კაკაო და ყავა, 100 მიწის მოხრილი მანქანა და 500 ორთქლმავალი.

ახალი ამბები

ბათომის ოლქის განსაკუთრებული კომისარი შინაგან საქმეთა სამინისტროს აუწყებს, რომ ხანგრძლივი წვიმების გამო ბათომის ოლქში მოსავალი მეტად დაზიანდა (სდს).

◆ **გურიის სახალხო გვარდიელთა წარმომადგენლების** ყრილობამ მოისმინა რა მთავარი შტაბის წევრის ფალავას მოხსენება ქემალ ფაშის ურდოების საქართველოს საზღვრებთან მოახლოვების შესახებ სავსებით იწონებს მთავრობის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს თავდაცვის საქმეში და ფიცს სდებს დამფუძნებელ კრების, რესპუბლიკის მთავრობის და მთავარ შტაბის წინაშე, რომ გურიის გვარდია პირველ მოწოდებისთანავე იარაღით ხელში სამშობლოს და თავისუფლების სადარაჯოზე დადგება და ჩვეულებრივი თავგანწირული ბრძოლით მოსალოდნელ საფრთხეს წინ დაუხვდება. ყრილობის თავმჯდომარე სიო ჰატურიშვილი.

◆ **იუსტიციის სამინისტრომ** გამოსცა ბრძანება, რომლის ძალით მობილიზაციით გაწვეული მოსამსახურენი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოცხადდენ სამხედრო აღრიცხვის უფროსთან. გაწვეულ მოხელეების მუშაობა დროებით დარჩენილთა შორის უნდა განაწილდეს. უკიდურეს შემთხვევაში განყოფილების უფროსებს ეძლევათ უფლება დროებით მოიწვიონ სამსახურში კერძო პირები.

◆ **შრომის სამინისტრომ** ტფილისის რაიონის მეფაბრიკეთა და მექარხნეების საზოგადოებას მიმართა წინადადებით ხანმოკლე დროში წარუდგინონ შრომის სამინისტროს სია საზოგადოების წევრთა მათი ბინადრობისა, მუშებისა, მოსამსახურეთა რიცხვისა და წარმოების დარგის აღნიშვნით.

◆ **თანახმად სახალხო განათლების მინისტრის ამხანაგის** ბრძანებისა ალექ. წუწუნავა ნოემბრის პირველიდან ორივე სახელმწიფო თეატრის—ოპერის და დრამის დირექტორად დაინიშნა. სკოლის გარეშე განათლების მოწყობის მთავარ ინსტრუქტორად დაინიშნა პეტერბურგის ერთ-ერთ გიმნაზიის ყოფილი დირექტორი ვ. კანდელაკი. მთავარ ინსტრუქტორს ევალება მოაწყოს სკოლის გარეშე განათლება მთელ რესპუბლიკაში და უხელმძღვანელოს მას.

— სახალხო განათლების სამინისტრომ წინადადება მისცა საშუალო სკოლების დირექტორებს და აგრეთვე ქალაქისა და ერობის სკოლებს დაუყოვნებლივ წარმოადგინონ ცნობები მათდამი რწმუნებულ სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობის რაოდენობის შესახებ.

◆ **ხონში დიდი თუთუნის ქარხანა** იხსნება. ქარხანას საფრანგეთის სააქციონერო ამხანაგობა ხსნის. ამ კვირაში საფრანგეთიდან ქარხნისათვის საჭირო ახალ მანქანების მოტანას მოელიან.

◆ **სურსათ-სანოვაგის მიწოდება რკინის გზელთათვის.** რკინის გზელთა კავშირის სასურსათო კომიტეტი შეუდგა რკინის გზის მუშებზე და მოსამსახურეებზე სულზე 3 ფუთი კომბოსტოს (1 ფუთი 200 მან.) 2 ფუთი კართოფილი (1 ფუთი 800 მ.) და სტაფილოს დარიგება.

— სასურსათო კომიტეტი შეშის და ნახშირის დამზადებას შეუდგა.

— რკინის გზის სასურსათო კომიტეტი ისპანეთის ფირმისათვის ხე-ტყის მასალის დამზადებას შეუდგა. კომიტეტმა მოსამსახურეთათვის საჭირო მანუფაქტურა და ფეხსაცმელები ამ ფირმისაგან შეისყიდა.

◆ **სახელმწიფო უნივერსიტეტის** სტუდენტთა სალიტერატურო წრეში (2 აუდ.) დღეს საღ. 7 ს. სავლე აბულაძე წაიკითხავს რეფერატს შემდეგს თემაზე: „იოსებ თფილელი და მისი პოემა „დიდ მოურავიანი.“ დასწრება შეუძლიანთ არა წევრებსაც.

◆ **სახალხო უნივერსიტეტი:** ხუთშაბათს 18 ნოემბერს წაიკითხება ლექციები ნაძალადევში: ტურიაშვილი ჰიგიენა. პარასკევს 19 ნოემბერს ავლაბარში: ნაკაშიძე—საქართველოს მწერლობიდან—ნ. ბარათაშვილის პოეზია და სასურსათოზე—ხოჭოლავა ფიზიოლოგიიდან.

კრებები.

დღეს საღამოს 5 საათზე ქალ. თვითმართველობის შენობაში დანიშნულია ს. სოც.-დემ. ქალთა ბიუროსა და კოლექტივების შეერთებული კრება. კრებას დაესწრება ამხ. კ. კაუცკი.

„ახ. სხივი“-ს გულადობა

„ახ. სხივი“ მიკიჟინებს—„ქალარას“ წერილის გამო შიშს შეუპყრიხართ, და რომ თვით გულადათ მოგვაჩვენოთ თავი მთელ ნომერს ამ წერილს ანდომებენ.

ამ გულადობის დამახასიათებელია თუნდაც ის, რომ სიტყვას ბანზე აგდებენ, წერილს გვერდს უვლიან და გაუთავებლათ მოგვითხრობენ იმაზე, რომ მუშათა კლასმა თანასწორობას ვერ მიაღწია, რომ რესპუბლიკაში უსამართლობა, ბოროტება და დაუდევრობას აქვს ადგილი და სხვა. მერე ვინ დაობდა ამაზე და ან მადლობის მეტს ვინ რას გეტყოდათ, ამაზე რომ გეწერათ და გამოსასწორებელი გზა გეჩვენებინათ? ან რატომ ცდილობთ იმის მიჩქმალვას, რაც ფუნდამენტარიოთ შავით თეთრზე სწერია? თქვენ სწერდით ქალარას პირით: 18 წელი „ბედნიერი ვიყავი სანამ **ჩვენი ძველი ხელმძღვანელების** დღევანდელ საქმიანობას არ გავეცანი. დღეს კი წინააღმდეგს ვხედავ. მუშათა კლასმა თავის ბრძოლით და სისხლით მხოლოდ რამდენიმე **ძველი ამხანაგებისათვის** მოიპოვა უზრუნველყოფილი ცხოვრება და მეტი არაფერი“-ო. ნუ თუ ცხადზე უცხადესი არაა თუ ვისზე არის ამ სტრიქონებში ლაპარაკი? განა ისე ბევრი დაგვრჩა ჩვენ ძველი ხელმძღვანელები, რომ აქ მკითხაობა დაგვჭირდეს? და ჩვენ გეკითხებოდით დაგესახელებინათ, რომელია მათ შორის უზრუნველყოფილთაგანი, თქვენ კი მოგვითხრობთ მაღალ მოხელეებზე, რომელთა უმრავლესობა სულაც არ ეკუთვნის ჩვენ პარტიას, ხოლო ნაწილი პარტიულია. მაგრამ არც ერთი მათგანი არამც თუ ძველი ხელმძღვანელი, ძველი აქტიური წევრიც არაა. ასევე უნდა გეთქვათ, თუ რომელი ძველი ამხანაგია, რომ ავტომობილ-ფაიტონები დროს სატარებლათ ჰყავს; თორემ რომ ზოგიერთი მოხელენი ამ ნიადაგზე ბოროტათ იქცევიან, განა ეს გამოიწვევდა დავას? ან იქნება ის გახდებოდა ჩვენთვის სადაო, რომ მუშებს შიათ და ამ ნიადაგზე უკმაყოფილებაა?

„სხივი“ ლექციას გვიკითხავს დემაგოგიაზე და გვასწავლის: დემაგოგია მაშინ იქნებოდა, მუშების აღელვებით სარგებლობის განზრახვა რომ გვქონებოდა. თუ რა განზრახვა გქონდათ, ეს თქვენი სინიდისის საქმეა, მაგრამ ზემო მოყვანილი სიტყვები რომ შიმშილით განაწამებ მუშებში ღელვებას გამოიწვევდა ჩვენი მეთაურების წინააღმდეგ, ამის მიუხვედრებლობას მე თქვენ ვერ მოგაწერთ და მაინც სწორეთ ამას ვამბობდი. მე დღესაც ამას ვამბობ, რომ ასეთი ბოროტი დემაგოგია გასაგებია მხოლოდ ჩვენი კლასიურ მოწინააღმდეგეთა გაზეთში, რასაც ისინი საპროვოკაციოთ ხმარობენ ხოლმე.

„სხივის“ რედაქტორს მრავალ სიტყვებით სურს დაფაროს დეპუტატის ჯამაგირის გადიდებასთან მათი დამოკიდებულებაც, მაგრამ იგი აქაც ცალმხრივია. მისი მოთხრობა ტრიალებს ჯამაგირების გადიდების გარშემო ატეხილ უკანასკნელ კამათზე მაშინ, როცა ეს კითხვა საკამათოთ იდგა ფრაქციაში ოთხჯერ. პირველათ იყო წამოყენებული 2000 მ. 900 მ. მაგიერ,—ფრაქციამ მიიღო 1500 მ.; მეორეთ სულ მოხსნა მომატება; მესამეთ წამოყენებული იყო მგონი 5000 მ., ფრაქციამ მიიღო 2500 და მეოთხეთ წამოყენებული იყო 7500 და ფრაქციამ მიიღო 6000 მ. მართალია ის, რომ მაქსიმუმს მხარს უჭერდა ზოგი არა სხიველიც. მაგრამ ისინი ამ კითხვას საომარ კითხვათ არ ხდიდენ.

დღევანდელი „სხივის“ რედაქტორებმა კი ეს კითხვა გახადეს ფრაქციაში თავიდანვე საომარ კითხვათ. გეგეჭკორი-არსენიძე-ჩიხლაძეები ამ კითხვაში სწორეთ ამით განსხვავდებიან თქვენგან. „სხივის“ რედაქტორები ისე დაავადმყოფდენ ამ კითხვის გარშემო, რომ დამშვიდებით მსჯელობაც აღარ შეეძლოთ.

მე ვამბობდი ჯამაგირის კითხვა იყო პირველი უთანხმოების კითხვა ფრაქციაში, თორემ შემდეგში რასაკვირველია იყო მრავალი სხვა კითხვები, მაგრამ, ვიმეორებ, არც ერთ კითხვას არ გამოუწვევია ასეთი გამწვავება.

ამხ. კ. ნინიძეს რიგიანობის მქადაგებლათ მოაქვს თავი, მაგრამ რიგიანობას ღალატობს, როცა სიზმრის ამბავი მოყავს: ს. მდივანმა მითხრა, „ზ. გურული შემოვიდა ერთ ალაგას და ამბობდა უნდა ჩავშალოთო“ (ჯამაგირების დეკრეტი). ამაზე იტყვიან ჩემი შენ გითხარი, გული მოგიკალიო. ს. მდივანი ცოცხალია და იტყვის, თუ ზ. გურულს ასეთი რამ უთქვამს ფრაქციის გარეთ, თუმცა ზ. გურულის სიზმარში ნახვა მართლა იყო სახუმარო სიტყვით დეკრეტის გადიდების გარშემო. საქმე იმაში გახლავთ, რომ ჩვენ ფრაქციას თავიდანვე დაყვა ერთი სამწუხარო თვისება: ყოველი სხდომის ანგარიში (განსაკუთრებით ოპოზიციასთან შეხლა-შემოხლის სხდომის) უმალვე დაწვრილებით იციან სხვა ფრაქციებში. ეს ეხლა არც მკითხველებისთვისაა საიდუმლო მას შემდეგ, რაც 6 ნოემბრის სხდომის ანგარიში გამოქვეყნდა გაზ. „საქართველოში“. ეს ანგარიში (ბათუმის კითხვის შესახებ) იმასაც ამჟღავნებს, თუ ვის გააქვს გარეთ ჩვენი შინაური საქმეები, ან როგორი ცალმხრივი სახით გააქვს, როცა ჩხიკვიშვილის გადაყენებაზე და მატარებლის მოხსნაზე ლაპარაკობს, ხოლო იმაზე, რომ ფრაქციამ 10 ხმის წინააღმდეგ სავსებით მოიწონა ამხ. ჩხიკვიშვილის პოლიტიკა და კიდევ მეტი ხმებით საჭიროთ ცნო ამ მაგარი და მტკიცე პოლიტიკის გაგრძელება,—არაფერს ამბობს. აი, ამ მოვლენის წყალობით სხვა ფრაქციებში დაწვრილებით იცოდენ ხოლმე ჯამაგირის გადიდების გარშემო რაც ხდებოდა ფრაქციაში. როცა ეს კითხვა მესამეთ დადგა და დადგა ისე, რომ ფრაქციას არ გაუგია სანამ დღის წესშიც არ შეიტანეს, ჩვენ მეტი აღარაფერი დაგვრჩა, ფრაქციაში შევეცადეთ საშუალო ციფრის გაყვანას, რაზედაც მთელი ომი დაგვჭირდა. უფრო მეტს ამ კითხვაზე ლაპარაკობდენ ზ. გურული, ს. ჯიბლაძე, ს. თევზაძე და სხვები. მეორე დღეს ეს იცოდა მთელმა სასახლემ მგონია, ამ ოპოზიციის პირიდან, და როცა მეოთხეჯერაც „სხივი“-ს რედაქტორებს სხვა ფრაქციებთან ერთად ეს კითხვა წამოეყენებინათ და ფრაქციაშიაც გაეყვანათ მაშინ, როცა ჩვენ სახელდ ო კომისიაში ვიყავით, ბევრი წევრი სხ. გვ. შტაბში იყო და სხვა, მაშინ ჩვენ, როგორც კი გავიგეთ, ათმა კაცმა წერილობით განცხადება შევიტანეთ ფრაქციაში და ვითხოვდით ხელმეორეთ განხილვას. ეს ამბავიც უმალვე გაიგო სასახლემ და ს. მდივანს ეოხუნჯებია სიზმარი ენახოო. დაესახელებია ზ. გურული, რადგან მომხსენებიდან გაიგო ყველაზედ მეტი მოწინააღმდეგე ისევ ისაა. კ. ნინიძე კი წყალგამოღმა გვიდავება და თავის მეგობრების ცოდვას ჩვენ გვახვევს.

ტყუილია ისიც, თითქოს კავშირთა საბჭომ ჩვენი ინიციატივით შემოიტანა ფრაქციაში გაფრთხილება: საქმე სულ სხვა იყო. იმ კრებას, სადაც კ. ნინიძეს ეს კითხვა წამოეყენებია, დასწრებოდა შრომის მინისტრი, რომელმაც მთავრობას განუცხადა, — თუ ეს დეკრეტი გავიდა, მუშებშიაც დაისმის კითხვა მომატებაზე და პასუხს ვერ ვაგებ შედეგებზეო. გაიგეს ეს კავშირებში მომუშავე ამხანაგებმაც და იგივე გააცხადეს.

ტყუილი ფიცია ისიც, თითქოს „სხიველები“ არ საყვედურობდენ ფრაქციაში იმის გამო, რომ ცოტა ჯამაგირი გვაქვსო. აი თუნდაც 8 ნოემბრის სხდომა გაიხსენეთ, როცა ინწაიშვილი ბანკის მსახურთა ჯამაგირებზე ლაპარაკობდა.

ერთი მართალია, რომ პრესაში ყველა ამებზე ლაპარაკი უხერხულია. მაგრამ ნუ დაივიწყებენ მიზეზს: „სხივი“ სწერდა უმაღლეს მოსამსახურეებს ჯამაგირი დაუზოგველი აქვთ, მუშებს კი შიათო. ჯამაგირებს აწესებს ფრაქცია და, მაშასადამე, „სხივი“ ილაშქრებდა ფრაქციის პოლიტიკის წინააღმდეგ და როგორ არ მეთქვა, რომ თვით „სხივი“-ს რედაქტორები ამ პოლიტიკაში კიდევ უფრო დიდ განსხვავებას იცავდენ?

ზ. დათიაშვილი.

P. S. რაც შეეხება „სხივი“-ს ცდას ჩემი პიროვნების გაბიაბრუების და ცუდათ ხსენების შესახებ, მე მათზე პასუხს თავის დამცირებათ ვთვლი. თუ რიგიანობის მქადაგებელ კ. ნინიძეს ასეთი საქციელი ურიგობათ არ მიაჩნია, დეე მის სინიდისზე იყოს.

ზ. დ.

ქალაქთა კავშირში

ქალაქთა კავშირის მთავარი კომიტეტის მიერ გაგზავნილ იქნა საგანგებოთ ფოთი-ქალადიდისა და ნატანების ტყეების საექსპლოატაციო რაიონებში კონტროლიორი ა. მაჩაბელი იმის გამოსარკვევად, თუ რათ გვიანდება დამზადებული შეშის ჩამოტანა. ხსენებულმა კონტროლიორმა უკვე წარუდგინა ქალაქთა კავშირს მოხსენება, რომლიდანაც გამოირკვა შემდეგი: მდინ. რიონის გადიდებისა და განუწყვეტელი წვიმების გამო მთელი საექსპლოატაციო რაიონი სადგურ ქალადიდიდან 7 ვერსის მანძილზე ტყეში, სადაც დამზადებული იყო 850 ოთხ-კუთხი საჟენი შეშა, მთლად დაფარულია წყლით და მისვლა-მოსვლა შეიძლება მხოლოდ ნავებით. ტყეში გაყვანილი ვიწრო ლიანდაგიანი რკინის გზა გაფუჭებულია. ამის და მიუხედავათ შეშის დამზადების საქმე არ შეჩერებულა და კვლავაც გრძელდება. მე-12 ვერსზე ტყეში შესვლა გამოკვლევის მოსახდენათ შეუძლებელი შეიქმნა.

ნატანების რაიონში კი მუშაობა შეჩერებულია, რადგან იგი ოზურგეთის სამხრეთ ერობაზე გადადის. აქ დამზადებული 100 საჟენის გამოტანა შეუძლებელია, რადგან გზა ბახა-ნატანებს შუა წალეკილია და შეშის მიღება და დაწყობა ყველგან მოუხერხებელი შეიქმნა. სხვა რაიონები პირდაპირ მიუვალი აღმოჩნდა და კონტროლიორმაც ვერ მოახდინა იქ გამოკვლევა.

ფინანსთა სამინისტროში

პროექტი სახელმწიფო ხარჯთ აღრიცხვის 1920—21 წლის განმავლობაში საერთო ვარაუდით ხაზინაში უნდა შე-

მოვიდა 8 მილიარდი 600 მილ. მანეთი. შემოსავლის თანხა უნდა განაწილდეს შემდეგ ნაირად: 1) სახელმწიფო მამულებიდან და კაპიტალიდან 4 მილიარდი მანეთი, 2) სახაზინო სესხის დაბრუნებიდან 2 მილიარდი 700 მილ. მან; 3) არაპირდაპირ გადასახადებიდან 1½ მილ. მან. 4) პირდაპირ გადასახადებისაგან—201 მილ. მან.; 5) საბაჟო გადასახადისაგან 94 მილ. მან.; 6) სახელმწიფო რეგალიებიდან 42.190.000 მან; 7) სხვა წვრილი შემოსავალი 15.000.000 მან; ამ რიგად ერთ სულზე 585 მან. გადასახადი მოდის.

ფინანსთა სამინისტროში კონსტანტინოპოლში მყოფ ეკონომიურ აგენტისგან მოვიდა ცნობა საქონლის ფასების და ვალუტის კურსის შესახებ, ფასები უკანასკნელ ხანში არ განიცდიან დიდ ცვლილებებს. საგრძნობლად გაძვირდა ინგლისის ვალიუტა. თანახმად მიღებულ ცნობებისა უცხო ვალიუტის ფასები შემდეგია: გირვანქა სტერლინგი 4 ოსმალ. ლირად და 82 პიასტათ ფასობს, ჩეკი 2 პიასტით უფრო ძვირია, 20 ფრანკი ღირს 1 ლირა და 72 პიასტი, შვეიცარიის 20 ფრანკი 4 ლირა და 15 პიასტი ბერძნული 20 დრახმა—2 ლირა და 96 პიასტი, იტალიის 20 ლირა—1 ლირა და 66 პიასტი, ამერიკის 1 დოლარი—1 ლირა და 50 პიასტი, რომანოვისა 1000 მან. 8½ ლირა, კერენკა—1000 მან.—2 ლირა. (სდს).

უცხოეთი

ინგლისი

ლოიდ-ჯორჯის აზრი საზავო ხელშეკრულებისა და ხალხთა ლიგის შესახებ. ერთ ახალ ინგლისურ ჟურნალში დაბეჭდილია ინტერვიუ ლოიდ ჯორჯთან. მან დაწვრილებით განმარტა ყველა თავისი შეხედულებანი საზავო ხელშეკრულების და ხალხთა ლიგის შესახებ და შეეხო აგრეთვე იმ კამპანიას, რომელსაც აწარმოებენ ასკვიტი და მისი მომხრენი მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ.

ლოიდ-ჯორჯის აზრით ვერსალში დადებული ხელშეკრულება არის ერთის მინიმუმი, რაზედაც საფრანგეთს შეეძლო დასთანხმებოდა. ინგლისს არ შეეძლო ამერიკასავით გამდგარიყო განზე, აგრეთვე არ შეეძლო მას გერმანიასთან ცალკე ზავი შეეკრა. ქვეყანა არ გვაპატიებდა ლიბერალებს, თუ ისინი მოითხოვდნენ რომ ჩვენ დაგვეტოვებინა საფრანგეთი ომის ლიკვიდაციის ჟამს.

ასკვიტის მომხრეები უსაყვედურებენ მთავრობას, რომ ის ყურადღებას არ აქცევს ხალხთა ლიგას. ამის გამო ლოიდ-ჯორჯმა სთქვა: „ხალხთა ლიგის მოღვაწეობას არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, სანამ ლიგაში არ შევლენ ყველა ერები. ჩვენ უსათუოდ უნდა შევიყვანოთ ლიგაში ამერიკა და აგრეთვე გერმანიაც. უკანასკნელს უნდა გაეღოს ლიგის კარები, რადგანაც მხოლოდ მაშინ გამოაშკარავდება მისი გულწრფელი სურვილი იმ ვალდებულებათა შესრულებისა, რომლებიც მას დააკისრა საზავო ხელშეკრულებამ. მე იმედი მაქვს რომ გერმანია შეასრულებს თავის ვალდებულებებს, მაგრამ ჯერ-ჯერობით ის განცდის პერიოდში იმყოფება. მე იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტის არჩევნების შემდეგ ჩვენ ამერიკაც შემოგვიერთდება. მხოლოდ მაშინ გახდება ლიგა მნიშვნელოვან ორგანოთ, ჯერ-ჯერობით კი ის წარმოადგენს მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოების კავშირს.

იტალია.

ავსტრიის შეერთება გერმანიასთან. ავსტრიის ნაციონალურმა კრებამ ოქტომბრის პირველ რიცხვებში გამოიტანა გადაწყვეტილება, რომელიც ავალებს მომავალ პარლამენტს ერთი წლის განმავლობაში მოახდინოს პლებისციტი ავსტრიის გერმანიასთან შეერთების შესახებ.

ამ გადაწყვეტილების შესახებ იტალიის ოფიციალურმა სააგენტომ ვოლტამ გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „იტალიის მთავრობა არ განაცხადებს პროტესტს ავსტრიის ნაციონალური კრების გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რადგანაც ეს გადაწყვეტილება არ ეწინააღმდეგება სენ ჟერმენის ხელშეკრულებას“.

უნგრეთი.

ებრაელთა შევიწროება. უნგრეთის ნაციონალურმა კრებამ 57 ხმით 7 ხმის წინააღმდეგ, მიიღო კანონი ებრაელთათვის პროცენტულ ნორმის დაწესების შესახებ უმაღლეს სასწავლებლებში. კანონის მიხედვით, იმ ებრაელების რიცხვი, რომლებიც მიიღებიან უმაღლეს სასწავლებელში, არ უნდა აღემატებოდეს 5%. კანონის მე-3 პარაგრაფი ებრაელებს და უცხოელებს ერთნაირ უთანაბარებს.

კანონის განხილვის დროს სახალხო განათლების მინისტრმა გამლერმა და ბევრმა დეპუტატებმა ანტისემიტური სიტყვები წარმოსთქვეს. გამლერმა განაცხადა, რომ ეს კანონი ენერგიულად გატარდება ცხოვრებაში და რომ „ის აიძულებს ებრაელებს იგრძნონ, თუ რა არის სიონიზმი“.

ეპისკოპოსმა პროხასკამ განაცხადა, რომ საკითხი სდგას ქვეყნის კატასტროფიდან გადარჩენის შესახებ. უნდა გავაგებინოთ ებრაელებს, რომ ისინი უცხოელებია. დეპუტატ კრეკმა მოიწონა ებრაელების ამოჟლეტა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს კანონი პირდაპირ ეწინააღმდეგება იმ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია ტრიანონში უნგრეთსა და მოკავშირეთა შორის. ხელშეკრულების ერთი მუხლის მიხედვით „უნგრეთის ყველა მცხოვრებნი და მის ტერიტორიაზე დაბადებულნი თანასწორნი არიან კანონის წინაშე და სარგებლობენ ერთნაირი მოქალაქობრივ და პოლიტიკურ უფლებებით განურჩევლათ რასისა, ენისა და სარწმუნოებისა“.

ბეჭდვითი საქმის კავშირის გამგეობას

ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი გაცნობებთ შემდეგს: 14 ნოემბერს შემდგარ საზოგადო კრებაზე, ახალ. არჩეულ გამგეობის წევრებს უნდობლობას ვუცხადებთ, ვინაიდან მათ, ახლად არჩეულ გამგეობის წევრებს, გარდა ორი კაცისა ჩვენ ვერ ვთვლით საიმედოთ და ჩვენი ინტერესების დამცველათ. როგორც თქვენ მოგეხსენებათ, ჩვენი ქარხნიდან საზოგადო კრებას დაესწრო ორი წევრი, რომლებმაც შეცდომით მისცეს ხმა ნომერ მეორეს. ეს შეცდომა გამოწვეულია იმით, რომ ამხანაგ თამაზაშვილის მიერ გამოქვეყნებულ იქნა ორი სია—ერთი კი ვ. ბოლქვაძისა. ამხ. თამაზაშვილის მიერ პირველად გამოქვეყნებულ სიაში დასახელებული იყო ყველა მიმდინარეობის წარმომადგენლები (ბოლშევიკებიანათ), ხოლო მეორე სიაში, რომელიც თამაზაშვილმავე გამოაქვეყნა, შედიოდნენ ყველა მიმდინარეობანი, გარდა ბოლშევიკებისა. ამის შემდეგ გამოქვეყნებული იქნა ბოლქვაძის მიერ წარმოდგენილი სია. რაკი ბოლშევიკებმა შეთანხმებულ სიაზე (ე. ი. პირველ სიაზე) უარი განაცხადეს, კენჭი ეყარა მეორე და მესამე სიას. ჩვენ მომხრე ვიყავით პირველი და მეორე სიისა მაგრამ რაკი პირველი მოიხსნა (შეთანხმებულ სია) ჩვენ ჩვენი ხმები მეორე სიას მივეცით. ბოლოს გამოირკვა, რომ მეორე ნომრით მიდიოდა ბოლშევიკების სია, ხოლო, ჩვენი მეორე სია პირველ ნომრათ წოდებულა.

გაცნობებთ რა ზემორეს, ჩვენ ვაცხადებთ, რომ შეცდომით იქნა ჩვენი ხმები მიცემული მეორე ნომრის სასარგებლოთ, ამიტომ მომხდარი არჩევნები ჩვენ მიგვაჩნია უკანონოთ და გთხოვთ სასწრაფოთ მოიწვიოთ საზოგადო კრება არჩევნების ხელმეორედ მოსახდენათ.

ყოფიანის სამკინძავო ქარხნის მომუშავეები: 1) ერივანცევი იაკობი 2) ევაკუტაძე. დანარჩენი ექვსი კი სულ პროტესტს ვაცხადებთ არჩევნების შესახებ, და მივთხოვთ მოწვეულ იქნას საზოგადო კრება ახალი არჩევნებისათვის რასაც ვამოწმებთ ჩვენი ხელის მოწერით

1) ნინა ხატიაშვილი, 3) ვლადიმერ კანდელაკი, 3) სერგო დაჯიძოვი 4) ვახილი კალადიევი, 5) ნესტორ ტიხონი 6) მიშა დავიდოვა.

14 ნოემბრის საზოგადო კრების პრეზიდიუმს.

14 ნოემბერს მომხდარ არჩევნების დროს მოხდა გაუგებრობა: ჩვენ მომხრენი ვიყავით ამხ. თამაზაშვილის მიერ წარმოდგენილ პირველი და მეორე სიისა; რაკი პირველ სიაზე ვერ შევთანხმდით ბოლშევიკებთან და იგი მოვხსენით, ჩვენ ხმები ჩვენს მეორე სიას მივეცით, არჩევნების შემდეგ კი გამოირკვა, რომ ბოლშევიკების სია მე 2-რე ნომრით ყოფილა დანომრილი; ამიტომ ჩვენ შეცდომით ხმები მივეცით ბოლშევიკების სიას. გთხოვთ მიაქციოთ ჩვენს განცხადებას ყურადღება და საშვალება მოგვცეთ ჩვენი ხმების აღდგენისა.

მთავრობის სტამბის მუშები: **1) ფატი ბუხნიკაშვილი, 2) კალანდაძე, 3) მიხ. გომელაური, 4) ტ. დანელია, 5) მ. დანელია, 6) ქახრიძე, 7) სტურუა, 8) ლეჟავა.**

ბეჭდვითი საქმის პროფ. კავშირის გამგეობას.

ვინაიდან გაზეთებში გამოქვეყნებულ და თვით საზოგადო კრების პრეზიდიუმში შესულ განცხადებიდან ირკვევა, რომ 14 ნოემბერს მომხდარი არჩევნები გაუგებრობაზე ყოფილა აშენებული და ამას თუ ზედ დავუმატებთ იმას, რომ არჩევნების შედეგი სრულიად ვერ გამოხატავს ჩვენი კავშირის წევრთა ნებისყოფას,—ეს ერთის მხრით, ხოლო მეორე—ჩვენ ქვემორე ხელის მომწერნი რიცხვით 40 კაცი მოკლებული ვიყავით ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზების გამო კრებას დავსწრებოდით, მოვითხოვთ დანიშნულ იქნას ახალი არჩევნები გამგეობისა.

მთავრობის სტამბის მუშები. (ხელს აწერს 40 კაცი).

ბათომი

ბათომის ოლქის ახალმა განსაკუთრებულმა კომისარმა გრ. გიორგაძემ, რომელმაც უკვე შეუდგა თავის მოვალეობის აღსრულებას, შემდეგი ბრძანება გამოაქვეყნა: „ნოემბრის 13 მე შევუდექი ბათომის ოლქისა და ბათომისათვის დანიშნულ სახელმწიფოს განსაკუთრებულ წარმომადგენლის მოვალეობის აღსრულებას. მმართველობის სამხედრო ნაწილი ჩემი თანაშემწის გენ. მდივანის გამგებლობაში იმყოფება. მმართველობის სამოქალაქო ნაწილის გამგებლობა დროებით ევალება პოლკ. სულაქველიძეს“.

ნოემბერს 13 ბრძანებით განსაკუთრებულმა კომისარმა სახელმწიფო დაწესებულებების უფროსებს წინადადება მისცა გააკეთონ ვრცელი მოხსენება მათ გამგებლობაში არსებულ საქმეების მდგომარეობის შესახებ.

ნავთსადგურის ადმინისტრაციამ ნოემბრის 12 ღამით დააკავა მოტორიანი „ნავი“ ოსმალეთის დროშით, რომელმაც ნავთ-სადგური აღკრძალულ დროში დატოვა და გავიდა ზღვაში სათანადო ნებართვის მიუღებლად. გამოძიება სწარმოებს

ბათუმის სოც. დემ. წევრების საერთო კრებაზე ნ. რამიშვილმა გააკეთა მოხსენება რესპუბლიკის მდგომარეობის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ბევრი, როცა რესპუბლიკას საფრთხე მოელოდა ფიქრობდა, რომ ეს უკანასკნელი საფრთხე იყო. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ რესპუბლიკა რევოლუციონურ ხანას განიცდის, იგი გარდამავალ ხანაში სცხოვრობს და ვიდრე ეს ასე იქნება, შეუძლებელია საშიშროების მოშორებაზე ვიფიქროთ. რევოლიუციონური პერიოდი კიდევ ხანგრძლივი იქნება. საკმაოა გავიხსენოთ, რომ ორი კლასიკური რევოლიუცია ინგლისში და და საფრანგეთში არა ნაკლებ 20 წლისა გრძელდებოდა. თანამედროვე რევოლიუცია უფრო ხანგრძლივი იქნება, ვინაიდან უფრო ცუდ პირობებში ხდება: ამ ჟამად, თუმცა ზოგიერთ ქვეყნებში ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია, მაგრამ ეკონომიურად ბურჟუაზია ბატონობს. მუშათა კლასის პოლიტიკური ბატონობა მანამდე არ იქნება უზრუნველყოფილი, სანამ საწარმოო ფორმები არ იქნება შეცვლილი. რევოლიუციის სიხანგრძლივეს ხელს უწყობს აგრეთვე ასპარეზზე აზიის გამოსვლა. ამ მოძრაობას ხელმძღვანელობენ რეაქციონური ელემენტები, რაც საქართველოს ძნელ პირობებში აყენებს. ქემალს აქვს უფლება როგორც უნდა ისე მოაწყოს ცხოვრება თავისი ქვეყნისა, მაგრამ იგი ცდილობს მთელი მუსულმანობის შეერთებას, ამიტომ საქართველოს მართებს სიფრთხილე და მზათ ყოფნა ყოველგვარ მოვლენისათვის. საქართველო არ წავა ქემალის წინააღმდეგ, იგი მშვიდად უყურებს აგრეთვე საქართველოს წინააღმდეგ აგრესიულ გამოსვლებს, ვინაიდან მას (საქართველოს) ამ ჟამად ყავს არა მარტო ფიზიკური ძალა, არამედ იდეური. ეს მისი იარაღი არის—ბრძოლა უკეთეს მერმისისათვის—სოციალიზმისათვის. (სდს)

იბეჭდება და ამ დღეებში გასაყიდათ გამოვა
კარლ კაუცკის ახალი წიგნი
სოციალიზმის პრობლემები და პერსპექტივები საქართველოში
თარგმანი გერმანულ ხელნაწერიდან
გამ-ცემა ს. ს.-დ. მ. პ. ცენტ. კომიტეტისა.

სადღეისო საკითხი

ყველასათვის ცხადია ის უმწეო მდგომარეობა, რომელშიაც სახელმწიფო მოსამსახურენი იმყოფებიან. არსებული ჯამაგირები მათ მშრალის ფასათაც არ ჰყოფნით. მე აქ მინდა მივაქციო ყურადღება იმას, რომ ასეთივე უწეო მდგომარეობაში იყვნენ ზოგიერთი სხვა დარგის, როგორც ტრამვაის, რკინის გზის და სხვა მუშები, მაგრამ ზოგმა მათგანმა ამას წარსული წლიდანვე შეეცადა და დღეს მათი მდგომარეობა, სხვებთან შედარებით, ბევრათ უკეთესია. მათ გაიუმჯობესეს თავიანთი მდგომარეობა მით, რომ წარსულ წელში მთავრობისაგან აიღეს ყარაიაზში, სანდარაში და, საზოგადოთ, ბორჩალოს მაზრაში დასამუშავებლად მიწები ½—1 დესეტინამდე სულზე, რომლებიც მათ დაიმუშავეს საერთო ძალღონით ქირით, და წელს თვითეულ მათგანს თითქმის ორი წლის სარჩო მოუვიდა მიმდინარე წელში. ამ ოპერაციას ისინი, როგორც გადმოგვცეს, უფრო აფართოვებენ.

სახელმწიფო მოსამსახურეებმაც, თუ გვინდა მომავალში მაინც ავიშოროთ თავიდან შიმშილით სიკვდილი, თუ გვინდა ფიზიკური არსებობის შენარჩუნება, აუცილებლათ ამავე გზას უნდა დავადგეთ. უნდა მოვთხოვოთ მთავრობას დასამუშავებლად მიწები და დავამუშავოთ იგი ჩვენი შრომით და ქირითაც. მთავრობა ჩვენს ასეთ დასაწყისს, ვფიქრობ, სიხარულით შეეგებება და ყოველნაირ დახმარებასაც მოგვცემს.

მაგრამ ვინ უნდა ითავოს ეს საქმე? აქ დანაწილება და თითო დაწესებულების ცალ-ცალკე გამოსვლა არ ვარგა, მით უმეტეს, რომ ამ გზით ამ დიდ საქმეს თავს ვერ მოვაბამთ. ამიტომ ის უნდა ითავოს სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიონალურმა კავშირმა და რაც შეიძლება დაჩქარებით, ვინაიდგან პურის თესვამდე დიდი დრო არ დარჩენილა.

აი ამ საქმის უდიდესი მნიშვნელობა გაითვალისწინა სახელმწიფო ბანკის მუშა-მოსამსახურეებმა და მიმართეს წინადადებით სახელმწიფო მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირს ამ საკითხის მოსაწესრიგებლათ. ვიმედოვნებთ, რომ ეს უკანასკნელიც მიიღებს ყოველ-გვარ ზომებს საკითხის ყოველ მხრივ შესასწავლად და ცხოვრებაში გასატარებლად და ამით შეუწყობს ხელს მოხელეთა აუტანელ მდგომარეობის მომავალში მაინც რამოდენიმეთ შემსუბუქებას. იმედია, სხვა დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურენიც გამოეხმაურებიან ამ საქმეს.

ხევ. ქიქაძიძე.

ერობა და ქალაქი

სამურზაყანოს სამაზრო ერობაში.

მაზრის ერობის გამგეობამ ამა წლის 23 ნოემბრისათვის დანიშნა სამაზრო ერობის ყრილობა, გასარჩევია ფრიად საინტერესო საკითხები, სხვათა შორის ბიუჯეტის დამტკიცება 1919—20 წ. და მომავალი საბიუჯეტო პროექტის განხილვა.

— ერობათა კავშირის კომიტეტისაგან ერობის გამგეობამ 600 ფუთი ნავთი მიიღო.

— ერობის გამგეობამ მიწათ-მოქმედების სამინისტროდან ნებართვა მიიღო 500 საჟენი შეშის საზღვარ-გარეთ გასატანად.

— ჩამოტანილი იქნა მედიკამენტები. ერობის გამგეობას აქვს ერთი სამაზრო კარგათ მოწყობილი აფთიაქი.

— აგრარული რეფორმა ტარდება. გამგეობამ 80-მდე ადგილ-მამულთა ჩამორთმევის აქტები დაამტკიცა. მაზრაში ძალიან კარგათ მუშაობს მესამე აგრარული კომისია მიწის მზომელი აბზიანიძის მეთაურობით. გამგეობამ უკანასკნელ სხდომაზე მას და მის მდივანს ჩეხერიას ნაყოფიერ მუშაობისათვის მადლობა მიუძღვნა და ათას ათასი მანეთი მიუმატა ჯამაგირს.

— გზების გაკეთების სეზონი გავიდა. ამიტომ გზის ზედამხედველები დათხოვნილ იქნენ სამსახურიდან.

— ერობის გამგეობამ საზამთროთ 40 საჟენი შეშა დაამზადა. საჟენი ჯდება 5000—6000 მან.

— შექმნილ იქნა ცხენებისათვის საზამთროდ დიდძალი თივა.

— წვრილი ერობის არჩევნები დამთავრდა, გაიმარჯვა სოც. დემ. პარტიამ. სულ 16 თემია შემოღებული.

— ტელეფონის გაყვანა ხელახლად დაიწყეს, მიტოვებული მუშაობა განახლდა.

— მოსამსახურეთა პროფესიონალურ კავშირის გამგეობამ სოხუმიდან მუშათა მაგიდიდან სურსათი ჩამოიტანა კერძო მოსამსახურეებს 215 მან. ეძლევა.

— გაიხსნა მუშათა მაგიდის განყოფილება დ. გალში.

— მოსამსახურეთა მდგომარეობა აუტანელია. სიძვირე საარაკო ხასიათს ღებულობს.

— მაზრის მეთამბაქოეთა კავშირმა ამ დღეებში სოხუმიდან დიდძალი მანუფაქტურა ჩამოიტანა. მანუფაქტურა და სხვა საქონელი შედარებით იაფია.

— 14 ნოემბერს მოხდება მასწავლებელთა სამაზრო ყრილობა ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესობის საკითხის მოსაგვარებლად.

— ოლღვის სამასწავლებლო კურსებზე ერობის გამგეობამ თავის ხარჯზე ექვსი მსმენელი გაგზავნა. მცხეთის საკერამიკო სკოლაში კი ერთი სტიპენდიანტი.

— გამგეობამ გადასწყვიტა ჟურნალი „ნაკადულის“ 70 ცალი გამოუწეროს მაზრის სკოლებს. ბ. უ.

სოხუმი 11 ნოემბერი, თანახმად აფხაზეთის ერობათა და ქალაქთა პირველი ყრილობის დადგენილებისა, ქალაქთა და ერობათა დროებითი ბიურო მეორე ყრილობას იწვევს. ყრილობის პროგრამაში შემდეგი მუხლები არის შეტანილი 1) განხილვა და დამტკიცება წესდებისა კავშირისა და სასურსათო ცენტრის შესახებ, 2) ხარჯთ აღრიცხვის შემუშავება 3) ქალაქთა და ერობათა კავშირის აღმასრულებელ ორგანოს არჩევა და სხვა. (სდს).

პროფესიონალურ კავშირებში

მბეჭდავთა კავშირში.

14 ნოემბერს მბეჭდავთა კავშირის გამგეობამ თავისი მოქმედების შესახებ შემდეგი მოხსენება წარუდგინა მბეჭდავთა კავშირის საზოგადო კრებას:

ამხანაგებო! აღნიშნული ანგარიში ეხება ჩვენი კავშირის 1 წლისა და 10 თვის მუშაობას, ერთი შეხედვით ანგარიშის ასე დაგვიანებით წარმოდგენა არა ნორმალურად და დიდათ დაგვიანებულათ უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან, კავშირის წესდების ძალითაც და აგრეთვე ყველა ორგანიზაციების ტრადიციით, გამგეობა ამა თუ იმ ორგანიზაციისა ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც წარუდგეს თავის ამრჩეველის წინაშე ანგარიშის ჩასაბარებლად. მაგრამ თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 1919 წლის პირველ ნახევარ წელიწადში თითქმის ყოველ თვეში ხდებოდა საზოგადო კრების მოწვევა და ყოველ მათგანზე ირჩეოდა გამგეობის ახალ-ახალი შემადგენლობა,—რის მიზეზსაც ჩვენ ქვემოთ შევეხებით,—და რომ ყოველ საზოგადო კრებაზე კეთდებოდა მოხსენება გამგეობის ამა თუ იმ შემადგენლობის მოღვაწეობის შესახებ და აგრეთვე თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უკანასკნელი შემადგენლობა გამგეობისა არჩეულია 1919 წლის 23 ივლისს,—ამაში ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ აღნიშნული ანგარიში არც ისე ძალიან დაგვიანებულია. მიუხედავათ ყოველივე ამისა, კავშირის გამგეობას თავის დროზე დამზადებული ჰქონდა ანგარიში და ის ჯერ კიდევ ივნისში აპირებდა საზოგადო კრების მოწვევას, მაგრამ რადგანაც კავშირის წევრების დიდი უმრავლესობა ამ დროს შვებულებაში იყო წასული, ამიტომ გამგეობამ უფრო მიზანშეწონილად ჩასთვალა, რომ საზოგადო კრების მოწვევა გადადებულიყო შემოდგომისთვის, როდესაც კავშირის ყოველ წევრს საშუალება მიეცემოდა მიეღო მხურვალე, აქტიური მონაწილეობა საზოგადო კრებაზე, გაეცნობოდა მის მიერ არჩეულ გამგეობის მოღვაწეობას და მით შეეტანა აქტიური ელემენტი ჩვენი კავშირის ცხოვრებაში.

ვიდრე გაგაცნობდეთ, ამხანაგებო, საანგარიშო წლის გამგეობის მოღვაწეობას, მას არ შეუძლიან არ აღნიშნოს ის სასიხარულო მოვლენა ჩვენი კავშირის ცხოვრებაში, რომელიც ჩვენ საბუთს გვაძლევს შეურყეველ იმედით შევხედოთ მომავალ გამგეობის ნაყოფიერ მუშაობას და ჩვენი ორგანიზაციის მსწრაფლ განვითარებას და გამგეობას. ეს გახლავთ ჩვენი კავშირიდან ამ ხელოვნურად შექმნილ პარტიულ და ფრაქციულ კინკლაობა-ბრძოლის განდევნა, რომელიც ბევრს ძვირფას დროს ართმევდა ამხანაგებს და ნაყოფიერ მუშაობის მაგიერ მათ აბამდა სრულიად არა საჭირო და უაზრო ბრძოლაში. რომ ეს ბრძოლა საზიანო და უაზრო იყო, ამას ამტკიცებს ის ფაქტიც, რომ მიუხედავათ იმისა, რომ გამგეობის უკანასკნელ შემადგენლობაში შედიოდენ სხვადასხვა პოლიტიკური მიმდინარეობის წარმომადგენლები და ზოგჯერ აზრთა სხვადასხვაობაც არსებობდა, ისიც არა პარტიული მსოფლმხედველობით, მიუხედავათ ამისა მათი მუშაობა შეთანხმებული იყო და იგი არას დროს არ სცილდებოდა პროფესიონალურ მუშაობას. სწორედ ეს შეუთანხმებლობა და პარტიული კინკლაობა იყო მიზეზი იმისა, რომ წინეთ ხშირ-ხშირად ხდებოდა საზოგადო კრების მოწვევა (ზოგჯერ თვეში ორჯერ) და ახალ ახალი გამგეობის არჩევა, რომელიც ჩვენ ზევით მოვიხსენიეთ და რომელიც დიდ ზიანს აყენებდა ჩვენს ორგანიზაციას და არევ-დარევა, უთანხმოება შეჰქონდათ ჩვენი კავშირის წევრებს შორის.

გადავდივართ არა პირდაპირ ანგარიშის განხილვაზე, გამგეობას აუცილებლად მიაჩნია განაცხადოს, რომ აღნიშნული ანგარიში შეეხება გამგეობის უკანასკნელ შემადგენლობის მოღვაწეობას 1919 წლის 20 ივლისიდან 1920 წ. 1-ლ ნოემბრამდე, ვინაიდან 1919 წ. 20 ივლისამდე არჩეული წინა ოთხი გამგეობის მოღვაწეობის შესახებ მოხსენებები კეთდებოდა მათი არჩევის წინ და ამა თუ იმ დადგენილებას იღებდენ, ამიტომ გამეორება მისი ამ ანგარიშში არ არის აუცილებელი, ვიტყვით მხოლოდ, რომ პირველი გამგეობის შემადგენლობამ იმუშავა 1-ლი იანვრიდან 9 მარტამდე, ჰქონდა 7 სხდომა და განიხილა 36 საკითხი; მეორე გამგეობის შემადგენლობამ 9—16 მარტამდე, ჰქონდა 1 სხდომა, განიხილა 3 საკითხი მესამე გამგეობამ—16 მარტიდან 13 აპრილამდე, ჰქონდა 6 სხდომა, განიხილა 28 საკითხი და მეოთხე გამგეობამ—13 აპრილიდან 20 ივლისამდე, ჰქონდა 27 სხდომა, განიხილა 91 საკითხი.

გამგეობის უკანასკნელ შემადგენლობას ჰქონდა 63 სხდომა, განიხილა 496 საკითხი.

ჩვენ აქ არ შევუდგებით ჩვენი მუშაობის შექებას, ან კავშირის წევრების ამხანაგების წინაშე თავის მართლებას, ამას ჩვენ განდობთ თქვენ, კუთვნილებისამებრ, კავშირის წევრებს, უმაღლეს ორგანოს—საზოგადო კრებას, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ იმ ობიექტიურ პირობებში და იმ მწვავე პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელშიაც იმყოფებოდა და იმყოფება ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკა, ამაზე მეტის გაკეთება ჩვენ არ შეგვეძლო, და შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ამაზე მეტის გაკეთება არც სხვებს შეეძლოთ, როგორც ეს ვერ შესძლეს სხვა კავშირებში.

გამგეობა შეეცდება მოკლეთ მოახსენოს კავშირის წევრებს თავისი პრაქტიკული მუშაობის ანგარიში.

ორგანიზაციული მუშაობა და კავშირის წევრთა უფლებრივი მხარის დაცვა. როგორც მოგეხსენებათ ჩვენს კავშირში შემოდიან ყველა მუშები და მოსამსახურენი, რომლებიც კი მუშაობენ: სტამბაში, ლიტოგრაფიაში და საამკინძავო ქარხანაში და რომელთაც წესდების ძალით უფლება აქვთ იყვნენ კავშირის წევრად. არც ერთი მუშა ან მოსამსახურე ჩვენი დარგისა არ არის კავშირის გარეშე დარჩენილი.

თანახმად თფ. პროფ. კავშირთა საბჭოს დადგენილებისა: პროფესიონალური კავშირები უნდა აშენდნენ წარმოების პრინციპის თანახმად. ამის და მიხედვით ჩვენ კავშირიდან გამორიცხულ იქნა პეკლისის „კარობკების“ ქარხნის მუშები და ისინი გადარიცხულ იქნან თამბაქოს ქარხანაში მომუშავეთა პროფესიონ. კავშირში. აღნიშნულ დადგენილების მიხედვით, ასევე უნდა მოვიქცეთ რკინის გზის სტამბის მუშებს იმ ნაწილის შესახებაც, რომელნიც ფორმალურად ჯერ კიდევ ჩვენი კავშირის წევრებად ითვლებიან და ნამდვილად კი კავშირში აღარ შემოაქვთ საწევრო გადასახადი.

ამ ხნის განმავლობაში წარმოების რიცხვში ცვლილება არ მომხდარა; მართალია, ზოგიერთი გამომცემლობა აჩერებდა გაზეთის გამოცემას, მაგრამ მათ ადგილას გამოდიოდა სხვა გაზეთები; აგრეთვე დაიხურა სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების სტამბა, მაგრამ ეს მოხდა ფორმალურად, ნამდვილად კი ის შეუერთდა სამხედრო სამინისტროს სტამბას.

გამგეობამ 1919 და 1020 წ. გაატარა კოლექტიური ხელშეკრულება; 1919 წ. კოლექტიურ ხელშეკრულებაში ცვლილებანი არ მომხდარა, ხოლო 1920 წ. კოლექტიურ ხელშეკრულებაში შეტანილ იქნა თვალსაჩინო ცვლილებანი კავშირის სასარგებლოდ, რაც ჩვენი ორგანიზაციის ერთ-ერთ დადებით მხარეთ უნდა ჩაითვალოს. რასაკვირველია, მწარმოებლების, და განსაკუთრებით წვრილი მწარმოებლების მხრით არა ერთი და ორი ცდა ყოფილა კოლექტიურ ხელშეკრულების დარღვევისაკენ მიმართული, მაგრამ გამგეობას შესწევდა იმდენი ძალა და უნარი, რომ იგი საკუთარის საშუალებებით შეუდრეკლათ ატარებდა ცხოვრებაში კოლექტიურ ხელშეკრულების ყველა მუხლებს და ყველა კონფლიქტები თავდებოდა მუშების სასარგებლოდ. არ იქნება ზედმეტი, თუ აღვნიშნავთ, რომ საზოგადოთ გამგეობა ძალიან იშვიათად მიმართავდა ხოლმე გარეშე ძალის დახმარებას და ამ მხრივ არ შეუწუხებია არც პროფესიონალურ კავშირთა საბჭო, არც შრომის სამინისტრო და არც მომრიგებელი კამერა. საანგარიშო წლის განმავლობაში მხოლოდ ორი საქმე იქნა გადატანილი მომრიგებელ კამერაში, [illegible]ტომ, რომ იგი დარწმუნებული [illegible] თავის გამარჯვებაში, გამგეობას არ ჰსურდა გაემწვავებია მდგომარეობა.

ამ ბოლო დროს გამგეობამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე წარმოების სანიტარულ-ჰიგიენურ პირობების გაუმჯობესების საკითხსაც. ამ მიზნით მან უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები და რამდენადმე მან დადებითი ნაყოფიც გამოიღო.

1920 წ. 1-ლ იანვარს ჩვენს კავშირში ირიცხებოდა 936 წევრი, ამათგან დედაკაცი—58, მამაკაცი—878 (ამათში შედის შეგირდებიც), მოსამსახურე—13, მუშა—878 (ამათში შეგირდებიც შედიან), ქართველი—498, რუსი—201, სომეხი—182, ებრაელი—14, ნემეცი—16 პოლიაკი—13 და გამოურკვეველი—12; მწიგნობარი—97% და წერა-კითხვის უცოდინარი (3% *) თუმცა შეგვიძნე-

შევეხებით რა ორგანიზაციულ საკითხს, გამგეობას, სამწუხაროდ, არ შეუძლიან არ აღნიშნოს ავტონომიურ კომისიების უმოქმედობა; მიუხედავათ იმისა, რომ მათ ადგილობრივ დაგზავნილი აქვთ ინსტრუქციები, რომელშიაც ნათლად არის აღნიშნული მათი უფლება და მოვალეობა, ვიმეორებთ, მიუხედავათ ამისა, 2—3 გამოკლებით, ისინი ვერ იჩენენ სათანადო უნარს ადგილობრივ საკითხების მოგვარებაში და ყოველ უმნიშვნელო კონფლიქტების და საკითხების დროს გამგეობას უხდებოდა ამა თუ იმ დადგენილების გამოტანა, განმარტების მიცემა, კომისიების არჩევა, რაც კავშირის მოსამსახურეებს დიდ დროს ართმევდა და ხელს უშლიდა ნაყოფიერ და ნორმალურ მუშაობას თვით კავშირში. ზოგიერთი ავტონომიური კომისიები გამგეობის ამა თუ იმ შეკითხვებზე პასუხს არც კი სცემდენ, დროზე არ ატყობინებდენ გამგეობას წარმოებაში მუშების შემადგენლობის მომხდარ ცვალებადობის შესახებ, ეს მდგომარეობა კი საშუალებას უსპობდა კავშირის კანცელარიის საჭირო დროს მისთვის ნათელი ყოფილიყო კავშირის წევრთა შემადგენლობა. ესა მაშინ, როცა ჩვენი ორგანიზაციის ინტერესები იმას ღაღადებენ, რომ ადგილობრივმა ავტონომიურმა კომისიებმა, რომელიც მოწოდებულია მტკიცე კავშირი გააბას გამგეობასა და მუშებს შორის, უნდა გამოიჩინონ დიდი ენერგია, აქტივობა და მით განამტკიცონ და გააძლიერონ კავშირი.

კავშირის წევრთა მსვლელობა. საანგარიშო წელს, ე. ი. 1919 წ. 1 იანვრიდან, 1920 წ. 1 ნოემბრამდე კავშირს მიემატა 364 წევრი, ამათგან 1919 წ. 235, ხოლო 1920 წ. 129. ამ ხნის განმავლობაში კავშირიდან გავიდა 437 კაცი. ამ ჟამად კავშირში ირიცხება 863 კაცი (ამ უკანასკნელ ორ ცნობას ესაჭიროება გამორკვევა, ვინაიდან ის ციფრები ამოკრეფილია წლის ანგარიშიდან, ხოლო მას შემდეგ, 3 თვის განმავლობაში შეიძლება მომხდარიყოს ცვლილებანი წევრების გასვლის მხრივ, რასაც ადგილობრივი ავტონომიური კომისიები თავის დროზე არ გვატყობინებენ. ხოლო არა უმეტეს 50—70 კაცი).

უმუშევართა შესახებ. ამ ხნის განმავლობაში კავშირში იყო 376 უმუშევარი, ამათგან ასოთ-ამწყობნი 117, მბეჭდავი 84, მკაზმავი 134 და სხვადასხვა პროფესიის 41. წლებისდა მიხედვით უმუშევრები შემდეგნაირათ განიყოფებიან: 1919 წ. 261, ხოლო 1920 წ. 115. ყველა ისინი, რომელთაც ჰქონდათ უფლება დახმარების მიღებისა, იღებდენ შემდეგ დახმარებას: 1919 წ. იანვრიდან მარტამდე 5 მ. დღეში, მარტიდან აგვისტომდე 15 მ., აგვისტოდან ნოემბრამდე 20 მან., ნოემბრიდან ინვრამდე 30 მ., 1920 წ. იანვრიდან სექტემბრამდე 45 მ. და სექტემბრიდან 100 მან. ამის გარდა განსაკუთრებულ შემთხვევებში გამგეობა კავშირის წევრებს აძლევდა ერთდროულ დახმარებას და აგრძელებდა დახმარების მიღების ვადას 10—13 კვირამდე.

ეკონომიური მდგომარეობა. მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესების საკითხი, დღეს ეს საკითხი უმთავრესი და უდიდესი ღერძია მუშათა ყველა ორგანიზაციების ცხოვრებაში. ამ საკითხის ირგვლივ უნდა ტრიალებდეს და ტრიალებს კიდეც დღეს ყველა პროფესიონალურ კავშირების მთავარი ყურადღება. თუმცა, სამწუხაროდ, ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ იმ ობიექტიურ და მწვავე ეკონომიურ პირობების გამო, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ნორჩი და პატარა დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩვენ არა თუ ვერ შევძელით ჩვენი კავშირის წევრთა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება, წინად არსებული პირობებიც კი ვერ შეუნარჩუნეთ მას. ჩვენ ყოველთვის იმ უდავო დებულებიდან გამოვდიოდით, რომ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება დამოკიდებულია იმ სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სადაც მუშები და მათი ორგანიზაციები ასრულებენ უმთავრეს როლს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის და აღმშენებლობითი საქმეში, როგორც ეს ჩვენში არის. ჩვენ აგრეთვე ისიც ვიცოდით და ვიცით, რომ ეკონომიურ კრიზისს განიცდის არა მარტო ჩვენი მხარე და ჩვენ, არამედ მთელი ქვეყნიერება დღეს ამ კატასტროფის წინაშე სდგას, რომელიც ის აქამდის მიუყვანა 7 წლის შეუწყვეტელმა და კაცობრიობის სისხლიანი გამანადგურებელმა ომმა. ჩვენში ამ ეკონომიურ კრიზისს კიდევ უფრო ხელს უწყობდა, რომ აქ

---

*) აღნიშნული ცნობა, ჩვენის აზრით სავსებით არ შეეფერება კავშირის დღევანდელ მდგომარეობას. ამ ჟამად უკვე დაწყებულია კავშირის წევრთა აღწერა, რომელიც მოგვცემს ჩვენი კავშირის შემადგენლობის სრულ სურათს.

ბით, მაგრამ საწევრო გადასახადი მაინც ყველას შემოჰქონდა.

არ არსებობდა საკმარისი საწარმოო დარგები (ფაბრიკა-ქარხნები), ჩვენი ბაზარი სპეკულიანტების ამარად იყო მიტოვებული. რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ პოლიტიკაში დეფექტებიც იყო და მას გამოსასწორებლად მიღებულია ზომები, მაგრამ ეს ზომები ახლო მომავალში ვერ შესძლებენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ კრიზისის რადიკალურად გადაჭრას და მაშასადამე, შეუძლებელია მუშების ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება მანამდის, სანამ ჩვენს ქვეყანაში არ გამრავლდება საწარმოო დარგები და სანამ არ აიწევა შრომის ნაყოფიერება; ამ იდეის გასამტკიცებლად კი მთელი ჩვენი მუშა ორგანიზაციების და მათი შეგნებული წევრების მთავარი ყურადღება სწორედ აქეთ უნდა იქნეს მიქცეული.

გადავალთ რა გამგეობის პრაქტიკულ მოღვაწეობის—კავშირის წევრთა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესების საკითხის განხილვაზე, აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ ჯერ კიდევ 1918 წელს კავშირმა აღიარა, რომ დღევანდელ ეკონომიურ პირობებში ბონების სახით ჯამაგირის გადიდება არა თუ აუმჯობესებს მუშათა ეკონომიურ პირობებს, პირიქით, ამით ვაჭარ-სპეკულიანტებს კიდევ ერთი საბუთი ეძლევათ პირველ მოთხოვნილების საგნებზე ფასის ასაწევად. გამგეობამ თავიდანვე აღნიშნა, რომ მუშათა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესება შეიძლება მხოლოდ პირველ მოთხოვნილების საგნების იაფ ფასში რეგულიარულად მიწოდებით მაგრამ მაშინ ამ მოსაზრების განხორციელება შეუძლებელი აღმოჩნდა; ეს მით უმეტეს, რომ სხვა კავშირები, რომელთაც ჩვენ მივმართეთ, ამ კითხვაზე არ გამოგვყვნენ. ამიტომაც იყო რომ გამგეობა 1919 წელს იძულებული გახდა მიემართა ძველი გზისათვის და ბონების სახით ჯამაგირების გადიდება მოითხოვა. 1919 წლის 1 აპრილიდან ჩვენ გავატარეთ 500 მან. მომატება. ხოლო თანახმად საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა პირველ კონფერენციის დადგენილებისა დაარსებულ იქნა სატარიფო პალატა რის შემდეგაც კავშირებს საშუალება მოესპო სეპარატიულად მოქმედებისა თავის წევრთა ეკონომიურ პირობების გაუმჯობესობის საქმეში. აღნიშნულ ორგანიზაციის იდეას და პრინციპს ჩვენ არ შეგვეძლო არ დავთანხმებოდით, ვინაიდან ამის შემდეგ კავშირების ცალცალკე მოქმედებას, სეპარატიულ გამოსვლებს, ბოლო მოეღო. არ შეგვიძლიან აგრეთვე უარვყოთ სატარიფო პალატის ზოგიერთი დადებითი მხარეების, განსაკუთრებით კი სუსტი ორგანიზაციების მიმართ. თუმცა არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ სატარიფო პალატის დეფექტებიც. რასაკვირველია, ყველა ახალ ორგანიზაციას, ვიდრე ის შეიძენდეს შესაფერ ცოდნა-გამოცდილებას, შეიძლება ჰქონდეს ნაკლოვანებანი, თუმცა გამგეობის აზრით, სატარიფო პალატის მუშათა სექციაში მომზადებული და ენერგიული წევრები რომ ყოფილიყვნენ, ამ დაბრკოლებათა გადალახვაც შეიძლებოდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენ არ გვქონდა საშუალება სეპარატიულად მოქმედებისა და ჩვენი როლი იმაში გამოიხატებოდა, რომ მხურვალე და აქტიური მონაწილეობა მიგვეღო საერთო ორგანიზაციებში, სადაც გამგეობა მთელ თავის ძალებს აბანდებდა და გაგზავნა წარმომადგენლები სატარიფო პალატაში. რამდენათ ნაყოფიერად იმუშავა აღნიშნულ საქმეში გამგეობამ და მისმა წარმომადგენლებმა, ჩვენ აქ არ შევუდგებით ამის აღნუსხვას; ეს ხდებოდა ყველას თვალ წინ ყველას დასანახად, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ ჩვენს კავშირს სატარიფო პალატასთან უთანხმოება მოუხდა ჯერ კიდევ 35% მომატების გატარების დროს, მაგრამ კავშირის შეურყეველ მოქმედებით, საქმე კავშირის სასარგებლოდ დათავდა.

კულტურულ-განმანათლებელი მოღვაწეობა. სამწუხაროდ კულტურულ-განმანათლებელ სფეროში ყველა კავშირების მოღვაწეობა, და მათ შორის ჩვენიც, სრულიად უმნიშვნელოა. თუმცა ჩვენმა გამგეობამ შესძლო რამდენიმე თვის ყურადღების მიპყრობა ამ დარგისაკენ: მან კავშირში გახსნა სამკითხველო, სადაც კავშირის წევრებს საშუალება ეძლეოდათ წაეკითხათ ჟურნალ-გაზეთები; სკოლის გარეშე სწავლა-განათლების გამავრცელებელ საზოგადოებას აღმოუჩინა პირდაპირი დახმარება მუშათა სახალხო სახლში გადმოსვლით: სრულიად დაუთმო ერთი თავისი ოთახი, მეორე სამეცადინოთ; მხურვალე მონაწილეობას იღებდენ ჩვენი კავშირის გამგეობის წევრები აღნიშნულ საზოგადოების გამგეობაში; აღნიშნულ საზოგადოების სასარგებლოდ ჩვენმა გამგეობამ გადასდო 10.000 მანეთი; ერთი სიტყვით, გამგეობა ხედავდა რა საზოგადოების დადებით მოღვაწეობას და ჩვენი კავშირის წევრთა სწავლის წყურვილს აღნიშნულ კურსებზე დასწრებით იგი შეძლების დაგვარათ ეხმარებოდა მას. გამგეობა აგრეთვე მატერიალურ დახმარებას უწევდა სახალხო უნივერსიტეტს.

კავშირის გამგეობის მუშაობა სხვა და სხვა ორგანიზაციებში. ჩვენ აქ პირდაპირ უნდა ვსთქვათ რომ, კავშირის მოსამსახურეთა უმეტესი დრო სხვა და სხვა ორგანიზაციებში მუშაობით ზანდდებოდა. მნიშვნელოვან მონაწილეობას იღებდა ჩვენი კავშირი პროფ. კავშირთა საბჭოში და სეკრეტარიატში, და მთელი ამ ორგანიზაციის სამუშაო სრულიად დაყრდნობილი იყო ჩვენი კავშირის წარმომადგენლებზე თამბაქოს ქარხნებში მომუშავეთა წარმომადგენლებთან ერთად. აგრეთვე დიდი ენერგია დახარჯა ჩვენმა კავშირმა კავშირების იმ შენობაში გადმოსვლა-დაკავებაში, რუმიანცევს მიცემაში, რომელშიაც ამჟამად იგი მოთავსებულია, რომელზედაც კავშირის ერთი მოსამსახურეთაგანი 2½ თვე დაბანდდა, ჩვენი კავშირის წარმომადგენლები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე: სატარიფო პალატაში, ქალაქის თვითმართველობასთან არსებულ სალიკვიდაციო კომისიაში, მომრიგებელ კამერაში, შრომის ბირჟაში და აგრეთვე ბაზრის ზედამხედველობის საქმეში.

ვათავებთ რა ჩვენს მოკლე მოხსენებას, გამგეობა ჰფიქრობს, რომ მან იმდენი გააკეთა, რამდენის გაკეთებაც კი დღევანდელ პირობებში შეიძლებოდა. გამგეობამ იცის, რომ სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია წინ, მაგრამ იგი იმედოვნებს, რომ ახალი გამგეობა ახალ ძალებით შეუდრეკელად განაგრძობს მუშაობას და შესძლებს ძველი გამგეობის ზოგიერთ ნაკლის შევსებას.

ხსენებულ დროის განმავლობაში კასიდან დაიხარჯა, უმუშევართა დახმარებისათვის 44807 მანეთი. სალიკვიდაციო 651265 მან. 26 კაპ. მგზავრობისათვის გაწეული ხარჯები—4100 მან. კავშირის მოსამსახურეთა ჯამაგირი—38850 მან. შენობის ქირა, გათბობა და განათებისათვის—22787 მან. კულტურულ-განმანათლებელ მიზნისთვის — 10964 მან. 35 კაპ. სტამბის ხარჯები—1652 მან., კანცელარიის ხარჯები—1010 მან., ბათუმის კავშირს დაუბრუნდა ჩვენს კავშირში შენახული—1518 მან., მიცემული სესხი მეღვინეთა კავშირს და სხვა—500 მან., მომრიგებელ კამერას—200 მანეთი, პროფ. კავშირთა საბჭოს სეპროცენტო გადასახადი—5475 მან., ინვენტარი (დროშა და სხვა)—380 მანეთი, წვრილმანი ხარჯები—310 მანეთი.

გასავალის ჯამი სულ უდრის 784528 მან. 22 კაპ. საზოგადო კრება, კმაყოფილი რჩება გამგეობის მოქმედებით და გადადის მორიგ საკითხზე.

ფულის ანგარიში 1919 წ. 1-ლ იანვრიდან 1920 წ. 1-ლ იანვრამდე. აღნიშნულ დროის განმავლობაში კავშირში შემოვიდა: კავშირში ჩასაწერი გადასახადი—473 მან. საწევრო გადასახადი—175386 მანეთი 83 კაპეიკი; სალიკვიდაციო ჯილდო—616646 მანეთი 49 კაპ. გაფიცვის ფონდში—1940 მანეთი 10 კაპეიკი; უმუშევართა ფონდში—12543 მან. 27 კაპეიკი; ლითონზე მომუშავეთა კავშირიდან 431 მან. 50 კაპ.; მეღვინეთა კავშირიდან 300 მანეთი (სესხად), ლ. იაგუშოვიდან სამკითხველოს ფონდისათვის 1000 მანეთი; ექსპედიციის მუშებისაგან მომრიგებელ კამერის სასარგებლოთ 47 მანეთი; 1918 წლის ბანკში შენახულ მიმდინარე ანგარიშზე ფულის პროცენტები 78 მან. შემოსავალის ჯამი სულ უდრის 808847 მან. 91 კაპეიკი. 1919 წლის 1 იანვრისათვის დარჩა 106807 მან. ბალანსი—915655 მან. 18 კაპეიკი.

სტუდენტების ცხოვრებიდან

28 ოქტომბერს ამხ. პაპავას თავმჯდომარეობით შესდგა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტების ქართველ სტუდენტთა კავშირის წევრთა საზოგადო კრება. დღის წესრიგში იყო გამგეობის მოხსენება, გამგეობის ხელახალი არჩევნები და მიმდინარე კითხვები.

პირველი საკითხის შესახებ კრებამ მსჯელობის შემდეგ გამოიტანა შემდეგი რეზოლიუცია: მოისმინა რა მოხსენება გამგეობის მუშაობას შესახებ, კრება კმაყოფილდება მოხსენებით და გადადის მორიგ საკითხზე.

გამგეობაში არჩეულ იქნენ: ალექსანდრე კანდელაკი, ერმალო გერსამია, ანატოლისტე ნიჟარაძე, კოტე ფერაძე, იუსტინე პაპავა, ქ-ნი ნინა [illegible] და ლევან გვარამაძე.

დანარჩენი დრო კრებამ მოანდომა გამგეობის მომავალ მუშაობის გეგმის შემუშავებას და სათანადო დირექტივები მისცა გამგეობას.

კრების დასასრულს შესდგა ახლად არჩეულ გამგეობის სხდომა პრეზიდიუმის ასარჩევად. არჩეულ იქნენ: თავმჯდომარეთ ალ. კანდელაკი, მის ამხანაგათ იუსტინე პაპავა, მდივნათ ანატოლისტე ნიჟარაძე, ხაზინადრათ—ერმალო გერსამია. მორიგი სხდომები დაინიშნა სამშაბათობით საღამოს 8 საათზე, სტუდენტთა ორგანიზაციების ბინაზე.

14 ნოემბერს შესდგა პოლიტეხნიკური ინსტიტუტის ყველა ფაკულტეტების სტუდენტ-მარქსისტთა საერთო კრება. დღიური წესრიგში იყო: ბიუროს მოხსენება და ბიუროს წევრების ახალი არჩევნები.

მოხსენების მოსმენის შემდეგ მოხდა არჩევნები. არჩეულ იქნენ ბიუროში: თავმჯდომარეთ ოქრო ლაცაბიძე მდივნათ ერმალო გერსამია, წევრებათ: ამხ. კანდელაკი ალექსანდრე, რუსუდან სოლოღაშვილი და სარდიონ სურგულაძე. აგრეთვე დაევალა მათ აწარმოონ წევრების რეგისტრაცია ეკონომიურ ფაკულტეტზე ლაცაბიძეს და გერსამიას, სამშენებლოზე ამხ. სურგულაძეს და დანარჩენ ფაკულტეტებზე კანდელაკს და ფერაძეს. **[illegible]**

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 4 ნოემბერს შესდგა ს. ს. დ. მ. პ. მესამე რაიონული კოლექტივის სხდომა. კოლექტივის წევრებს გარდა სხდომას დაესწრნენ 1-ლ და 2-რე ქვეკოლექტივების წარმომადგენლები ამხ. 3. რამიშვილი, ამხ. ს. მეტრეველი. არამიანცის საავადმყოფოს იაჩეიკიდან ამხ. ვ. ელიზბარაშვილი. სხდომა გახსნა მ. წივწივაძემ.

კოლექტივმა პირველ ყოვლისა მოისმინა მოხსენება ცენტრალურ და თფილისის კომიტეტიდან. მოხსენებებიდან გამოყოფილ იქნა ორი საკითხი: საბინაო კომისია და გაზეთი „ახალი სხივი". საბინაო კომისია, რომელიც მიღებული არის ეკონომიური თათბირის დადგენილებით, საჭიროა იქნება ამუშავდეს, რაც შეიძლება მალე, ამასთანავე კოლექტივი გამოსთქვამს სურვილს, რომ საბინაო კომისიაში შედიოდეს წარმომადგენლები ძირითადი ორგანიზაციებიდან თითო კაცი რაიონიდან.

გაზეთი „სხივის" შესახებ კოლექტივი სასურველად სცნობს საღ კრიტიკას, მაგრამ გაზეთი „სხივი", რომელიც აწარმოებს არა საღ კრიტიკას, არამედ სავსებით აქუცმაცებს პარტიის მთლიანობას, ასეთ პოზიციას „სხივისას" უარყოფით ხვდება კოლექტივი და საჭიროდ სცნობს „სხივლი" ამხანაგები დაბრუნდნენ საერთო ოჯახში, გაერთიანდენ პარტიაში და ისე აწარმოონ კრიტიკული ხაზი, ვინაიდან ჩვენსა და „სხივს" შორის არ არის არავითარი პრინციპიალური დავა-განსხვავება. დასასრულ განხილულ იქნა განცხადებები. სარეზერვო რაზმში კოლექტივი სასურველად სცნობს ჩარიცხულ იქნენ ამხ. ს. ელიზბარაშვილი, ალექ. საყვარელიძე და არამა ავაიანცი. **ვერხვი.**

ხევის თემი. 1920 წლ. ოქტომბრის 17-ს შესდგა ხევის თემის რაიონული კოლექტივის კრება. კრებას დაესწრო ყველა წევრები. კრება გახსნა ყოფილი პრეზიდიუმის თავმჯდომარემ რამიშვილმა. გასარჩევი იყო: 1) პარტიული მუშაობა და 2) პასუხისმგებელი კორესპონდენტის არჩევა. კრებამ დაადგინა რომ არჩეულ იქნას 5 კაცისაგან შემდგარი პრეზიდიუმი. არჩეულ იქნენ: თავმჯდომარედ კოწია ანთიძე, ამხანაგად მ. მამალაძე, მდივნად ა. მამალაძე, ამხანაგად გრ. ჭუმჯურიძე, დადგენილ იქნა კრება ხდებოდეს თვეში ორჯერ კვირაობით დილის 9 საათიდან. პარტიული მუშაობა: კრება ადგენს დაცულ იქნას სასტიკი დისციპლინა და იქნას ზომები მიღებული მუშაობის გასაძლიერებლად. ბოლოს არჩეულ იქნა პასუხისმგებელი კორესპონდენტი. **ბუღარე.**

მუშათა შორის

პარიკმახერების ცხოვრებიდან.

8 ნოემბერს მუშათა სასახლეში შესდგა პარიკმახერების საერთო კრება. თავმჯდომარეთ არჩეული იქნა ლ. ქანთარია მდივნათ კ. აბულაძე. დღიური საკითხები იყო: 1) მოხსენება გამგეობისა, 2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა, 3) გამგეობის არჩევნები, 4) არჩევნები სარევიზიო კომისიისა, 5) სასურსათო საკითხი, 6) ჯამაგირების შესახებ, 7) საპარიკმახეროების გაღება-დაკეტვა და სხვა.

გამგეობის სახელით მოხსენება გააკეთა ფიცხელაურმა...

რომელმაც აცნობა კრებას 5 ივლისს არჩეულ გამგეობის მუშაობა და ახალი გამგეობის არჩევის საჭიროება.

სარევიზიო კომისიის სახელით მომხსენებელ ქანთარიამ აღნიშნა თუ რამდენათ უყურადღებობას იჩენდა გამგეობა თავის მოვალეობისადმი.

მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება გამგეობისა და სარევიზიო კომისიისა გამგეობის მუშაობის შესახებ, საერთო კრება აღიარებს, რომ გამგეობა ვერ იჩენდა ვერავითარ ნიჭს და უნარს მუშაობისას, ამიტომ საერთო კრება უცხადებს მას საყვედურს და უნდობლობას და ირჩევს ახალ გამგეობას.

ახალ გამგეობაში არჩეულ იქნენ: 1) ლ. ქანთარია, 2) ბედუკაძე, ალ. 3) ბერუაშვილი, 4) ლორია, 5) გრინგევეცი 6) ქვარიანი და 7) ფიცხელაური.

სარევიზიო კომისიაში აირჩიეს 1) გედევანიშვილი, 2) სალუქვაძე და 3) კორძახია.

კრებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ერთხმად უარყო ჯამაგირის მომატების მოთხოვნა და დაავალა გამგეობას მიიღოს საჭირო ზომები, რომ ამ დარგში მომუშავეთაც მიეცეთ სურსათი სანოვაგე მუშათა მაგვარად.

საპარიკმახეროების გაღება-დაკეტვის შესახებ მიღებულ იქნა რომ მუშაობა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდის ე. ი. შუადღეზედ არ იკეტებოდეს..

11 ნოემბერს შესდგა პირველი გამგეობის სხდომა.

კავშირის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ლ. ქანთარია, ხაზინადრათ ფიცხელაური თავმჯ. ამხანაგი ალ. ბედუკაძე, გამგეობამ დაადგინა დაიქირაოს მდივანი. შესაფერისი მდივნის დაქირავება დაევალა პრეზიდიუმს.

არჩეულ იქნა ფინანსიური კომისია (ქანთარია, ბედუკაძე, ფიცხელაური). **რიხხვა.**

პროვინცია

სოფ. წერაქვი (ბორჩალოს მაზრა). ეს სოფელი განვლილ ქართველ-სომეხთა ომის დროს ძალზე დაზარალდა. იგი 120 წელზე მეტია, რაც აქ გაშენდა ბარათაშვილების მამულზე, ჯერ ეს მამული ინჟ. ვედენეევმა იყიდა, ხოლო ბოლოს მანთაშევმა შეისყიდა, მანთაშევის ხელში აქაური მოსახლეობა დიდს დუხჭირში ჩავარდა, მეფის ნაცვლობის დროს აქ ქალთა ამბოხებაც კი მოხდა მანთაშევის აგენტების წინააღმდეგ, რადგან იმ დროს სოფელში მამაკაცნი თითქმის არ იყვნენ (ომში გასვლის გამო) და აგენტები კი სოფელს ავიწროვებდნენ, სოფელი გარშემორტყმულია თათარ-სომეხ ბერძენთა მოსახლეობით, ბერძენებთან ნათესაობაც აქვთ (ერთმანეთში ქალებს აძლევენ), მიუხედავად ასეთი პირობებისა, ქართველური ხელი, ზნე-ჩვეულება და სამშობლოს სიყვარული მათში არ გამქრალა. მაგრამ, როგორც ვსთქვი, ომიანობის დროს ძალზე დაზარალდა, ამას დაემატა, ომიანობისავე მიზეზით საქონლის შემცირებისა გამო უხნავ-უთესობა, ხოლო უკანასკნელ დროს კი დიდი სეტყვა-ნიაღვრები, რამაც ამ სოფლის მცხოვრებნი ძლიერ დააღარიბა. მართალია, მთავრობამ რამდენჯერმე დახმარებაც აღმოუჩინა სურსათით, მაგრამ თითო ოროლა ჩანახმა დამშეულ-გატანჯული ხალხი ვერ მოიოკა ხალხი თითონვე ჰგრძნობს, რომ თუ საკუთრივ არ მოიყვანს პურს, სიმინდს, არ გაიჩენს საქონელს—გარეშე დახმარება ვერ იხსნის.

ს. წერაქვი უმთავრესად მესაქონლეობს, პურის თესვა მოყვანასა და მებოსტნეობას მისდევს, მესაქონლეობა შემცირდა და თითქმის გაუწყვიტა ჯერ ძველი ბოლონდელი ნაბატონარის სასტიკმა პირობებმა, შემდეგ ომიანობამ. საჭიროა ამ სოფელს, ვისგანაც ჯერ არს, დახმარება მიეცეს, რომ მესაქონლეობა განავითარონ—ცხვარი, ძროხა და ღორი აქ ძლიერ გვარობს. უწინ აქ პური უხვად მოდიოდა, მაგრამ ბოლო დროს ტყეების გაკაფვისა თუ მიწის გამოფიტვის გამო, მოსავალმა იკლო, სეტყვამ უხშირა, ხოლო ნიაღვრებმა იმატა, რაიცა ბოსტნეულს ძალზე აზარალებს.

სწავლა განათლების მხრით ეს სოფელი ძალიან ჩამორჩენილია. ხუთი ექვსი წლის წინად აქ ქ. შ. წ. კ. ს. გახსნა სკოლა, კარგი მასწავლებელიც დანიშნა, მაგრამ ეს მასწავლებელი მალე სხვაგან გადავიდა, სოფელი სიბნელეში დარჩა და დღესაც იმ მასწავლებელს მისტირის, მის შემდეგ ომმა სწავლის საქმე შეაფერხა, თუმცა ახლაც სკოლა სახელად არსებობს ფაქტიურად რიგიანად ვერ ჰმოქმედობს: სკოლას საკუთარი შენობა არა აქვს, თუმცა აშენება გადასწყვიტეს, მაგრამ ამ გაჭირვებულ ხანაში აბა რას შესძლებენ. სოფელმა სადაც ჯერ არს ითხოვა—ნება მოგვეცით ს. ყულარის ტყიდან გადმოვიტანოთ (შვიდიოდე ვერსზეა) ტყის ყარაულის ხის შენობის მასალა, რომელიც შენობაც გაუქმებულია, თითქოს შეპირდენ კიდეც მაგრამ დღემდე ეს საქმე სისრულეში არ არის მოყვანილი. მეტის მეტად საჭიროა მიწათმოქმედების სამინისტრომ ფიცხლად განკარგულება მოახდინოს ხსენებული ს. ყულარის რაიონში გაუქმებული ტყის საყარაულო შენობის მასალა წერაქველებს დაუთმოს.

ხშირი სეტყვა ნიაღვრებისა გამო ს. წერაქველებმა ბორჩალოს სამაზრო ერობასა სთხოვეს—ბორჩალოში სახაზინო მიწებიდან კომლზე ორი დესეტინა მიწა მოგვეცით ღალით სახნავსათესათო. სოფელი 37 კომლამდეა. დასჭირდებათ 75 დესეტინამდე. საჭიროა ამ სოფლისათვის ჯეროვანი დახმარების აღმოჩენა. **ხაშმელი ხოხია.**

დიდი-ჯიხაიში. 31 ოქტომბერს შესდგა ადგილობრივ თემის ხმოსნების კრება. გაირჩა შემდეგი კითხვები: მოხსენება ადგილობრივ გიმნაზიის და სემინარიის მდგომარეობის შესახებ, დარაჯების მოთხოვნილებები, სახაზინო ტყეების შესახებ და იანეთის თემის წინადადება კრამიტის ქარხნის გამართვის შესახებ. პირველ საკითხის შესახებ მოხსენება გააკეთა გიმნაზიის დირექტორმა ს. ცაგარეიშვილმა; მან აღნიშნა, რომ მთავრობა იძლევა გიმნაზიის შენობისათვის ხის მასალას უფასოდ, მაგრამ ინჟინერ-ტეხნიკები კი გვირჩევენ აგურის შენობის აგებასო და ამის გამო მომხსენებელი შუამდგომლობს თემის წინაშე, რომ ხის მასალა თემმა მიიღოს თავის საჭიროებისათვის და გიმნაზიისათვის კი შეიძინოს აგური. კრებამ ეს წინადადება პრინციპიალურად გაიზიარა, მხოლოდ ჯერ უნდა ჩაიბაროს თემმა ხის მასალა და შემდეგ იზრუნებს აგურის შესახებ. ამის შემდეგ განიხილეს სკოლების დარაჯების მოთხოვნილება ეკონომიურ მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. კრებამ ეს წინადადება უარყო და დაადგინა არ მისცეს არავითარი მომატება მოსამსახურების ჯამაგირების დამოუკიდებლად, არამედ —ეს იყოს შეფარდებული რესპუბლიკის მოსამსახურეთა ჯამაგირების საერთო მომატებასთან. სახაზინო ტყეების მოვლა და ექსპლუატაცია კრებამ საჭიროდ სცნო რომ გადავიდეს თემის ხელში, ამიტომ ხმოსნებმა დაადგინეს იშუამდგომლოს ამის შესახებ სამაზრო ერობის წინაშე თემის გამგეობამ. უკანასკნელად მოსმენილ იქნა იანეთის თემის წარმომადგენლის განცხადება, რომელმაც განაცხადა, რომ იანეთში მცოდნე პირების — ინგლისელების შემოწმებით არის საკრამიტე მიწა და განზრახული აქვს იანეთის თემის კრამიტის ქარხნის გამართვა და თუ ისურვებს დიდი-ჯიხაიშის თემი ამხანაგობას, უკეთ მოეწყობა ეს წარმოებაო. კრებამ ეს წინადადება ერთხმად მიიღო და შეპირდა წარმომადგენელს საჭირო წვლილის ამ საქმისათვის გაიღებს დიდი-ჯიხაიშის თემიცო. **ნოდე.**

წერილი რედ. მიმართ

ღია წერილი ბინის გამწესრიგებელ კომისიას.

ბაქოს ქუჩაზე არის სახლი მოქალაქე უშვერიძისა. თვით სახლის პატრონს (ოთხ სულს) უჭირავს ოთხი ოთახი. დანარჩენი ოთახები არის გაქირავებული.

ამ დღეებში მისულან იქ საგანგებო რაზმის სახელით და დაუზუსტებიათ უშვერიძის ბინაზე ორი ოთახი. ამნაირათ ოთხი ოთახიდან აპირებენ ორის ჩამორთმევას. ოთხი ადამიანი უნდა დარჩეს ორ ოთახში და ერთი ვიღაც მარტო უნდა მოთავსდეს ჩამორთმეულ ორ ოთახში.

თვით უშვერიძე დროებით მსახურებს ბათუმში დეპოს უფროსად. სახლში არიან მცირე წლოვანი ბავშვები მოხუცებული ქალით.

სულ ერთი კვირაა, რაც ამ ოჯახს დიასახლისი წუთი სოფელს გამოესალმა. ასეთ დამწუხრებულ ოჯახში დღეს უსამართლოთ ოთახების ჩამორთმევა ცეცხლზე ნავთის დასხმაა. არც არის ბინა ისე მოხერხებული, რომ განაწილდეს ორად.

თუ ვინმეს ბინა ესაჭიროება და რეკვიზიციის უფლება მას აქვს, განა ცოტა სახლებია, სადაც ერთი ან ორი პატრონებს უჭირავს რამდენიმე ოთახი? უშვერიძისათვის ბინის ჩამორთმევა რაღაც გაუგებრობაა. ანა და ვიღაცის პირადი ინტერესი ამოქმედებს.

ვსთხოვ ოთახების დამზუსტებელ პირებს და ბინის გამწესრიგებელ კომისიას მიაქციონ ამ გარემოებას ყურადღება; აუცილებლივ მეც მივითითებ, თუნდაც იმავე სახლში სხვა ბინას, სადაც რეკვიზიცია უფრო სამართლიანი იქნება.

პატივის ცემით მოქალაქე **სოლომონ დოლიძე.**

რედაქტორი **ლევან ნათაძე.**

განცხადებანი

ექიმი
რეზო მაჩაბელი
კანისა და ვენერიული სნეულებანი (წამლობა ახალი და ძველი სისტემის) სიფილისი (606—914 შეშხაპუნება) ავადმყოფებს იღებს კაცებს 9—11 ს. დილ. და 6—8 ს. საღ. ქალებს 11—12 ს. დილის. მოსკოვის ქუჩა № 4, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. 12—დეკ.

ექიმი
ა. ლოვენშტეინი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლავების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოლიცინისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12 დეკ.

ექიმი
ი. ა. ტერ-ავაკუმოვი
გადავიდა კირკეს ქუჩაზე № 49, მიხეილის პრ № 28. ვორონცოვის ძეგლის ახლოს და განაახლა ავადმყოფების მიღება. სპეციალურად სიფილისი, ვენერიული (მწვავე და ხრონიკული ტრიპერი) და კანის ავათმყ. „606" და 914" შეშხაპუნება. მიღება დილის 11—12 საათ. საღამოს 6—8. ქალებს საღამოს 5—8 საათ. (13 დეკ.)

ქირურგიული და ქალთა სნეულების
საავადმყოფო
სამშობიარო განყოფილებით ექიმის
ბოკერიასი
(პლეხანოვის პროსპ. № 141, სამხედრო სასწავლებლის პირდაპირ, ტელეფ. № 5—97) დასაწოლ ავათმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—ნოემ.)

ექიმი **[illegible]**
სპეციალურად: სიფილისი და მისი მკურნალობა (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4 [illegible] ქ. № 32. 21 დეკ.)

ექიმი
გ. ნ. მაგაკიანი
შინაგანი და ბავშვების სნეულებანი, სპეციალურად: ფილტვის—კუჭის, ნაწლავების და ს. ხ. ავათმყოფობის მიღება ყოველდღე დილის 10—11 საათ. და საღამოს 5—7 საათ. ტელეფონი № 14—21. ბებუთოვის ქ. № 38. (26 ნოემბ.)

ექიმი
ა. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და კანის სნეულებანი. იღებს ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და საღ. 5—7 ს. ქალებს 4—5 საათ. [illegible] მთავრის ქუჩა № 72 ალექსანდროვის საავადმყოფოს პირდაპირ. (21 ნოემბ.)

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა მიღება ნერვიულ და შინაგან სნეულებებით ავადმყოფთა ბავშვების და დიდების. ელექტრო-რენტგენის კაბინეტი [illegible]. მიღება: დილის 10½—1 საათამდე, საღამოს 6—7 ს. კვირადღის გარდა. მიხეილის პრ. № 111. ტელეფონი 13—42 (3—დეკ.)

ექიმი
გუნრიხ ისაკის ძე ვოლოხა
(ქუთაისიდან)
ღებულობს ყურის, ცხვირის და ყელის სნეულებებით ავადმყოფებს: დილ. 12—1 ს საღ. 3—6 ს. პლეხანოვის პრ. № 76 (მიხეილის), ტელეფონი 7—38. (16 ნოემ.)

ექიმი
ნიკოლოზ მახ[illegible]
განაახლა შინაგან სნეულებებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად. ტრამვაი № 1, 2, 5 და 9 (3—დეკ.

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
ავადმყოფების მიღება ყოველდღე 1 ს.—4 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11 მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1—დეკ.)

ექიმი
სოლომონ ისაკის ძე ვოლოხი
(ქუთაისიდან)
იღებს ქალისა და შინაგან სნეულებებით ავადმყოფებს დილით 12—2 ს. საღ. 5—7 ს. ბელგიის ქ. № 5. ტელეფ. 10—55. (18—ნოემ.)

ექიმი
ნ. ა. არუთინოვი
სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურება ენდოსკოპია (საშარდე მილის). ახალი-ბებუთოვის ქ. № 5 სასახლეს უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. (პარალელურად). მიღება დილის 10 12 ნახ. ს საღ. 5 7 საათამდე. 13—დეკ.

ექიმი
ნ. პ. ფალიაშვილი
სახელმწიფო უნივერსიტეტის სასანიტარო ინსტიტუტის ასისტენტი ვაქცინოთერაპია, სეროტერაპია, აუტოვაქცინაცია. ხოლერის, ტიფის, ჟამის საწინააღმდეგო ვაქცინის შეშხაპუნება... ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ ბელინსკის ქუჩა, აგურის შესახვევი № 10. (22—ნოემ.)

დოქტორი
გ. გ. მეგრაბიანცი
შინაგანი ავადმყოფობა—ქლექი და გულისა. იღებს ახალს რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92, მიღება ყოველ დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე. 11 დეკ

კბილის ექიმი
ე. ტ. ლორის-მელიქოვი ჯიბლაძისა
ღებულობს კბილის ტკივილით ავათმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

დოქტორი მედიცინისა
ვ. პ. მოსეშვილი
დაბრუნდა თფილისში და განაახლა შინაგან ორგანოთა და ნერვების სნეულებით ავადმყოფების მიღება საღამოს 4—8 საათამდე. გიორგის ქუჩა, № 5, ალექსანდრეს ბაღთან ქვაშვეთის ეკლესიის ახლოს. (4—დეკ.)

დაბრუნდა და განაახლა მიღება.
ექიმი
მ. ი. ზანდუკელი
შინაგან და ნერვების ავადმყოფ ელექტრონით წამლობა. ავადმყოფ. მიღება 5—7 საათ. ანასტასიის ქ. № 13. ტელეფ. 9—31. (21—ნოემ.)

ექიმი
ბ. ი. ოქროპირიძე
იღებს შინაგან სნეულებებით ავადმყოფთ საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქ. № 23, [illegible]

ექიმი **ა. დ. [illegible]**
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავათმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე" პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 15 ნოემ.

სამკურნალო
ელექტრონის, რენტგენის და სინათლის
მიხეილ გედევანიშვილისა
დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. [illegible] ქ., 20, ტელეფ. 7—91 (1—დეკ.)

ექიმი
დავით ლუკას ძე
კიღურაძე
შინაგან და ბავშვთა სნეულებანი. იღებს ავადმყოფთ დილის 8—9 საათამდე და საღამოს 5—7 ს. პლეხანოვის პრ. (მიხეილის) № 120. (15 ნოემ.)

ექიმი
ე. ი. კალანდაძე
ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიული, სიფილისით (შეშ. „606" და „914"), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღ. ამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. ახლოს, ზემელის აფთიაქთან ახლოს. ტელეფონი 18—95. (1 დეკ.)

ექიმი
პ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავათმყოფებს: საშარდე და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. კანის, ვენერიული და სიფილ. (914 და 606 შეშხაპუნება) საღამოობით 6—7½ საათ. მიხეილის საავადმყოფოს ახლოს ბელგიის ქ. № 1 (16-ნოემ.)